# სახალხო გაზეთი

№ 973 ოთხშაბათი, 21 აგვისტო 1913 წ. № 973

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკაი ქ., ხ. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ელისაბედ კაკაჩაშვილისა და ი. გრიშაშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობართ, რომ 17 ამ თვეს გარდაიცვალა პირველისა—ძვირფასი ქალი და მეორესი—და

**ელენე |ასტჰიკა| ჩიტაშვილისა,**

პანაშვიდი დანიშნულია დღეს, 21 აგვისტოს, სალამოს 6 საათზე საკ. სახლში. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 22 აგვისტ. მიცვალებულის ცხედარს დილის 8½ საათზე გამოასვენებენ საკუთ. ბინიდან (ხარფუხი, სურფ-სარქისის ქ., ალგეთის შესახვევი), ბერძნების წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში და აქედან წირვის შემდეგ—კრწანისის სასფლაოზე.

გულდამწვარი გიორგი მიხეილის ძე ჩიტაშვილი, გულითადის მწუხარებით აუწყებს ნაცნობთა და ნათესავთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ 17 აგვისტოს გარდაიცვალა მისი ძვირფასი მეუღლე

**ელენე |ასტჰიკა| გრიგოლის ასული ჩიტაშვილისა,**

პანაშვიდი დანიშნულია დღეს 21 აგვისტოს, სალამოს 6 საათზე, საკუთარ სახლში (ხარფუხი, სეიდაბათის ქუჩა, ალგეთის მისახვევში № 1). გამოსვენება 22 აგვისტოს დილის 8½ საათზე ბერძნების წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა კრძანისის სასაფლაოზე. 44

## საზოგადო კლუბი ავლაბარში

საზაფხულო სადგომი, მ ხეილის პროსპექტი № 65, ბაღი ექიმ კარაპეტიანისა.

**დღეს, 21 აგვისტოს,**

## სალამო ადგილობრივ მუსიკისა·

დაუკრავს შეერთებული სამი გამოჩენილი მედუდუკე: **ბაგრატ-გეგელო, ზუბიევი და ნაჯაფა.** გარდა შეერთებულად ხომრებისა შესრულებისა, სამივენი ცალ-ცალკე შეასრულებენ **სოლო ნომრებს.** დასასრულ **კავკასიური ცეკვა სცენაზე.** ✦ **დასაწყ. სალ. სრულ 9 ს.**

წევრთათვის, კანდიდატებისათვის და მათი ოჯახისათვის შესვლა ღირს 20 კ., სტუმართათვის—ქალებისათვის 50 კ., კაცებისათვის 1 მან. 567

## ახალი წიგნის მაღაზია

ქ. ი. ოცხელისა

ქუთაისში, ალექსანდრეს ქუჩაზე, ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

## უდიდესი წიგნის მაღაზია

**კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.**

ახალ მაღაზიის შემქნილი აქვს მეტად მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი

ახალ მაღაზიის სურს შუამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით, ამას ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდე მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფად. 1419

## საფერშლო სკოლა

**ტფილისის მიხეილის სახელობის საავადმყოფოსთან არსებული** სკოლის უფროსი აცხადებს, რომ სკოლაში შემოსვლისათვის თხოვნების შემოტანის ვადა თავდება 20 აგვისტოს. ხელმეორედ გამოცდა დანიშნულია 22, 23 და 24 აგვისტოსათვის, მისაღები და გაჯიბრებითი

**გამოცდა დანიშნულია 26, 27, 28 და 31 აგვისტოსათვის.**

მიღება შეიძლება მხოლოდ პირველ კლასში, დანარჩენ კლასებში-კი, ადგილის უქონლობის გამო, მიღება არ მოხდება. გამოცდა დაიწყება დილის 8 საათზე. 1427

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>**ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულბ. | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყურ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული .ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606'' და ,,914'' წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035



**პირველ-ხარისხოვანი**

## დიდი ცირკი

## ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

**დღეს, 21 აგვისტოს, 1913 წ. გაიმართება**

## წარმოდგენა

**ყველა პირველ-ხარისხოვან მსახიობთა მონაწილეობით.** დღეს პირველი გასტროლი მოჯირითე ქალის **თამარისა ყანლდოვთან** ერთად გამოსვლით. დღეს **4 ეშმაკი** კიდევ შეასრულებენ ახალ ოინებს. დღეს **ბ. ბროკარსი** გვიჩვენებს სახელოვან ადამიანთა ტიპებს—ტ ნსაცმლის სწრაფად შეცვლით. დღეს გამოჩენილნი მეზღვაური-ჯამბაზები შეასრულებენ 15 არშინიან კიბეზე საუკეთესო ნომერა დღეს გამოჩენ ლი ლამაზი ქალები **რაკროსხები** გამოიყვანენ გაწრთვნილ ძაღლებს. დღესვე მონაწილეობას იღებენ მოშაირე ხუმარები **ძმ. ვინჩენცოები** და მასხარა **ბ. როზერტსი** ჭკვიანი ვირით და მათემატიკოს ძაღლით.

**დ ა ს ა წ ყ ი ს ი სალამოს 8 ნახევ საათზე.**

დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.** 566. გამგე: **ლ. მ. ხუნდაძე.**

— ✦ **გამოსულია და იყიდება** ✦ —

## ნ. შიუკაშვილის

პიესა **,,მეგობრობა''** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ხ. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

**ექ. ქალი იოხელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**მ. გ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი· აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა ,,606''-ით** 1035

**დოქტორი მედიცინისა**

## ი. ბ. ჩუდნოვსკი

**დაბრუნდა** და განაახლა ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფების მიღება ყოვ.-დღე, დილის 9—11 ს.-დე და სალამ. 5—8 ს.-დე; **კიროჩნი ქ.,** სახ. № 18, **ტელეფ. №** 1090. 554

**ელექტრონის და რენტგენის**

**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., სალამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1023

## საზურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. სალამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

**კ ბ ი ლ ი ს**

**ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი** იღებს ავადმყოფებს **აბასთუმანში.**

## ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს სალ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

**ექიმი ა. შ. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე სალამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117 ტელეფონი 816.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სალამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

## ქართული პრესა

ქუთაისის „იმერეთი“ და „სასოფლო გაზეთი“ მწარე სიტყვებით ასწერენ ყანების და ვენახების განადგურებას გვალვით და მხურვალედ მოუწოდებენ საზოგადოებას წინასწარ დახმარების მოსაწყობად. „იმერეთი“ სწერს:

„ყველამ დიდი თვითმოქმედების უნარი უნდა გამოიჩინოს, აქედანვე ენერგიულად უნდა შევუდგეთ თადარიგს, საჭიროა ყოველ დაბა-ქალაქსა და სოფლებშიც დაარსდეს კომიტეტები. ამ კომიტეტებმა უნდა შეჰკრიბონ ნამდვილი ცნობები მოსავლის შესახებ, სად რამდენი ზარალია, რაგვარი დახმარება ესაჭიროება, უნდა გამოარკვიოს დაახლოვებით მაინც რაოდენობა იმ უბედურთა, რომელთაც შიმშილობა მოელით.

ეს კომიტეტები მიაწოდებენ ცნობებს ჩვენს დეპუტატებს. ესენი დახმარებას მოსთხოვენ მთავრობას, გამოითხოვენ საჭირო თანხის გადადებას ამ საქმისთვის, უნდა გაიგონ ჩვენი გაჭირვება სათათბიროამა და თვით რუსის საზოგადოებამაც. თუ კი ჩვენში გროვდება შეწირულება რუსეთში დამშეულთა და სმირეჩიეში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ, განა ისინი კი მოვალე არ არიან—ჩვენც დაგვეხმარონ უბედურობის დროს?

უმთავრესად კი ისევ ჩვენ ჩვენი თვითმოქმედების იმედი უნდა გვქონდეს. ამ ნიადაგზე უნდა შეერთდეს საზოგადოების ყველა ელემენტი. ამ საქმეს უნდა გარშემოიკრიბოს ყველა, ვისაც ჩვენი ხალხის უბედურება აწუხებს. მოვუწოდოთ შეძლებულ ქართველებს, სადაც კი ასეთები იმყოფებიან—ჩვენში, რუსეთში, ციმბირში, თუ ბაქოში, რომ ხელი გაუწოდონ გაჭირვებაში მყოფ მოძმეებს. ამით ცოტათი მაინც შევუმსუბუქებთ გაჭირვებას იმათ, ვინც წლევანდელი მოუსავლობის საშინელი შედეგი უნდა განიცადოს.

თვით სოფლის მშრომელ ხალხს ამ განსაცდელმა მაინც შეაგნებინოს, რომ ადამის დროისებურ წესით დღეს მეურნეობა შეუძლებელია; რომ დღეს ჩვენი დროის შესაფერი, ინტენსიური სამეურნეო მუშაობის წესის შემოღება სამკვდრო-სასიცოცხლო კითხვად გახდა მისთვის.

დღეს იმ მეცნიერებათა ციკლი, რომელნიც სასოფლო მეურნეობას შეეხება, იმდენად განვითარებულია, რომ ვერავითარი გვალვა სოფლის მეურნეს ველარაფერს დააკლებს, თუკი ამ მეცნიერების მოთხოვნის თანახმად იმუშავებს და ჩვენი ხალხიც სწორედ ამ გზას უნდა დაადგეს, თუ სურს შემდეგში მაინც თავი დააღწიოს წლევანდელისებრ უბედურებას...

„სასოფლო გაზეთი“ ამბობს:

„უპირველეს ყოვლისა უნდა გამოირკვეს მომავალი მოუსავლობის რაოდენობა და ის რაიონები, რომელზედაც იგი გავრცელდება. ამისთვის საჭიროა საზოგადოებრივ ელემენტებისაგან შესდგეს განსაკუთრებული ორგანო, რომელიც ადგილობრივ პრესასთან ერთად აიღებს თავის თავზე ამ მოვალეობას. ამის ინიციატივა თავს უნდა იდვან სამეურნეო საზოგადოებებმა. როცა გამოირკვევა, თუ სად რამდენი დახმარებაა საჭირო, ამის შემდეგ ადვილი იქნება შესაფერი შუამდგომლობის აღძვრა და დასაბუთება. ჩვენ საზოგადოდ გვიყვარს ზეპირათ ლაპარაკი და მოქმედება. თუ საზოგადოდ ასეთი ჩვეულება უარსაყოფია, მით უფრო საზარალო და უარსაყოფია იგი ამ შემთხვევაში. მრავალ გზით აწონილ გაზომილი და დასაბუთებული ფაქტი ხშირად იქაც კი სჭრის, სადაც საზოგადოდ ნაკლებად დაჩვეულნი არიან ფაქტების წინაშე ქედის მოხრას.

ასეა თუ ისე, შიმშილობა მალე აუცილებელი ფაქტი იქნება და გარეშე დახმარებაც საჭირო გახდება. ამ საქმის უყურადღებოდ დატოვება ჩვენი ქვეყნის მეურნეობისა და ვაჭრობის დაცემა-განადგურება იქნება. ჩვენი დაბა-ქალაქების ვაჭრობა უმთავრესად სოფლით საზრდოობს, ხოლო მოუსავლობა მეურნისათვის ნიშნავს არა მარტო შიმშილს, არამედ იმასაც, რომ იგი ვერ იქნება ქალაქის საქონლის გამსაღებელი. და ეს არა მარტო ერთ წელიწადს—მოუსავლობის დროს. არა, მისი შედეგი მთელი წლების განმავლობაში მძიმე ტვირთად დააწვება ზურგზე ხელმოკლე მეურნეთა მასას. ვინ იცის, რამდენი გაჰყიდის თავის მარჩენალ ძროხას ან ხარს, რამდენი თავის მეურნეობაში დაწყებულ გაუმჯობესებას შუა გზაზე შეაჩერებს, რამდენი დავალიანდება და სოფლის ჩარჩ-ბაცაცების საძიძგნად გახდება! და მერმე დანგრეული მეურნეობა არც ისე ადვილად აღსადგენი იქნება!..

ერთი სიტყვით, მომავალი მოუსავლობა აურაცხელ ცუდ შედეგებს გამოიწვევს, როგორც კერძოდ მეურნეობისათვის, ისე საზოგადოდ მთელი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებისათვის.

ამიტომ საჭიროა ეხლავე სერიოზული ზომები იქმნას მიღებული მოსალოდნელი უბედურების დამღუპველი შედეგების შესამცირებლად!

ამას გვავალებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარების ინტერესები!“

## ახალი ამბავი

**ტფილისი.**

✦ **მიწების ჩამორთმევა რკინის გზის საჭიროებისთვის.** წნორის-წყლიდან (კახეთის რკინის გზა) ბაქომდე რკინის გზის გასაყვანად საჭირო გახდა 3,000 დესეტინამდე მიწის ჩამორთმევა ტფილისისა, განჯისა და ბაქოს გუბერნიაში და ზაქართალის ოლქისა. ამის გამო უმაღლესად ნაბრძანები იქნა, კერძო მესაკუთრეთ დაუყოვნებლივ ჩამოართვან საჭირო მიწები და მიწის პატრონებს კანონისამებრ მისცენ სასყიდელი.

✦ **კნ. პ. აბაშიძისამ** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას შესწირა ორაპნის მაზრაში მდებარე ძვირფასი მამული. როგორც გადმოგვცეს, პატივცემულ კნეინას სახლში ყოფილა თურმე ძვირფასი ძველი ხატი მინანქრით შემკული. ამ ხატს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის შეწირვას უპირებს.

✦ მსახიობი **დ. მგალობლიშვილი** მომავალ სეზონისათვის ბათომის დრამატიულ საზოგადოების დასში მიიწვიეს.

✦ ქუთაისის მცხოვრები ერთი ქართველი ებრაელი ტფილისში ბეჭდავს ცხრა ათას ცალს „სიზმრის ახსნას“. ესევე „სიზმრის ახსა“ შარშან ვინმე არნაუტოვმა ხუთი ათასი ცალი დაბეჭდა და მეორე გამომცემელმაც ამდენივე. ესე იგი ერთი წლის განმავლობაში ეს მახინჯი წიგნი ოცი ათასი დაბეჭდილა.

✦ **საბავშვო დღესასწაული.** 18 აგვისტოს „ახალმა კლუბმა“ თავის ბაღში საბავშვო სალამო გამართა, რომელსაც დიდ-ძალი ბავშვობა დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა. გაიმართა საბავშვო წარმოდგენა, იყო სინემატოგრაფი და სხვა და სხვა საბავშვო გასართობი.

✦ **ახალი პიესები.** პ. ირეთელს დაუწერია ორი ახალი პიესა, 1) **ბედნიერი დღე**“ კომედია სამ მოქმედებად, რომლის უმთავრესი გმირი აპოლონი განხორციელებაა ჩვენის მყვირალა ინტელიგენციისა და 2) „**ოქროს საათი**“, საბავშვო პიესა სამ მოქმედებად.

✦ **ლოთობასთან ბრძოლა.** უწმ. სინოდმა წინადადება მისცა ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორას, განკარგულება მოახდინოს, რათა საქართველოს საეგზარხოსოში სიფხიზლის დღესასწაული იქმნას 29 აგვისტოს და ამ დღეს ფული შეაგროვონ ლოთობასთან საბრძოლველად. დღესასწაული შემდეგის წესით უნდა იქმნას გადახდილი: 1) 29 აგვისტოს უნდა გადახდილ იქმნას წირვა, რომელსაც მოჰყვება პარაკლისი ლოთობის სენით პყრობილთა განკურნებისათვის და მღვდლებმა უნდა წარმოსთქვან დღესასწაულის შესაფერი სიტყვა, 2) წირვასა და ლოცვაზე თეფშებით ფული უნდა შეაგროვონ; საჭიროა ამ დღეს ხალხს ლოთობის შესახებ წიგნაკები დაურიგონ და 3) შეგროვილი ფული უნდა გადაეცეს ბლადიჩინს, რომელიც თავის მხრით ფულს ეპისკოპოსს წარუდგენს.

✦ **ცეცხლი.** 19 აგვისტოს, სალამოს, ანტონიევის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა ქ-ნ ლანტოვის სამ-სართულიან სახლს (№ 5). გამოწვეულ იქმნა ცეცხლის მქრობელი რაზმი, მაგრამ ვერა გააწყორა და ცეცხლმა სამივე სართული ჩანთქა. დარჩა მხოლოდ ქვის კედლები. სახლი დაზღვეულია. ცეცხლმა იმსხვერპლა აგრეთვე მეზობლად მდებარე სახლი (№ 3) არუთინოვისა.

✦ **საბირჟო ცნობები.** 20 აგვისტოს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—84 მ. 90 კ., აძლევდნენ—84 მან. 40 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—82 მ. 60 კ. აძლევდნენ—82 მან. 50 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—80 მან., აძლევდნენ—78 მან. 50 კაპ. სახელმწიფო მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ სესხის ბილეთებისა—488 მან. მეორისა—360 მან. 50 კ. და მესამისა—316 მან.

✦ **გ. დ. ჟურული,** ქალაქის გამგეობის წევრი, რომელიც დასასვენებლად იყო წასული, ტფილისს დაბრუნდა.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება,** რომელიც 22 აგვისტოსთვის იყო დანიშნული, მომავალ კვირისთვის გადაიდო, რადგანაც შიოევისეულ სახლის გადაკეთების პროექტი ჯერ მზად არ არის.

### სასწავლებლებში

✦ **ახალი სასწავლებელი.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნ-

ველი შუამდგომლობს, 1914 წელს ხაზინიდან გადაიდოს 340,526 მან. კავკასიის ოლქში 62 უმაღლეს პირველდაწყებითი სკოლის დასაარსებლად. ამას გარდა თხოულობს 221,670 მან. ამ ფულით უმაღლეს პირველ დაწყებით სკოლად უნდა გადაკეთდეს აწ არსებული 90 საქალაქო პირველ-დაწყებითი სკოლა.

◆ **ქართული სკოლა ქალებისათვის.** პირველ სექტემბრიდან კუკიაში (რეუტოვის ქუჩა, № 11) იხსნება საქალაქო ქართული პირველდაწყებითი სკოლა ქალებისათვის ქალების მიღება 25 აგვისტოდან დაიწყება.

◆ **ბოდბის საქალებო მონასტრის საეკლესიო-სამასწავლებლო სკოლის** გამგედ უმაღლესად დაინიშნა ამავ მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანასტასია იმ პირობით, რომ მან სკოლაში საგნები არ ასწავლოს და არც ჯამაგირი მიიღოს; სასწავლო ნაწილის გამგებლობა და სამღვთო სჯულისა, დიდაქტიკისა და პედაგოგიკის სწავლება უნდა დაეკისროს მღვდელს—სამღვთო სჯულის მასწავლებელს, რომელსაც სკოლის გამგისათვის დაწესებული ჯამაგირი უნდა მიეცეს და რომელსაც ამ თანამდებობის მიხედვით ხაზინიდან პენსიის მიღების უფლებაც ექნება.

### ქუთაისი

◆ საგუბერნიო ციხეში ტუსაღებმა მოჰკლეს ბოქაულად ნამყოფი მიქიაშვილი.

◆ რიონ-გაღმა გეგუთის ქუჩის მცხოვრებლებმა აირჩიეს სპეციალური კომისია ნაფიცი ვექილის გრიგოლ გიორგაძის თავმჯდომარეობით რიონზე მეხუთე ხიდის აგების საქმის მოსაგვარებლად.

### ბაკურციხე

◆ **თავ-დაცემა.** 17 აგვისტოს სოფელ ბაკურციხესთან სამი შეარაღებული უცნობი თავს დაეცა კახეთის რკინის გზის მოიჯარადრის მ. ა. ოჰანეზოვის მეარტელეს, რომელსაც ჟანდარმის თანხლებით მუშებისთვის დასარიგებლად ფული მიჰქონდა. უცნობებმა, რომელთაგანაც ერთი შეიპყრეს, ვერა წაიღეს რა, რადგანაც ჟანდარმმა დროზე ასტეხა სროლა და ხალხი მოგროვდა სოფლიდან.

## საეროვნო დაწესებულებანი და საზოგადოებრივი სამსახური

საზოგადოებრივი სამსახური საეროვნო დაწესებულებებში შეიძლება ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხად ჩასთვალონ, მაგრამ თუ ამ მხარეს ზერელედ არ მოვეპყრობით და მდგომარეობას განვიხილავთ მთელი თავის სიგრძე-სიგანით, დავინახავთ, რომ იგი საკითხი მართლა დიდად საყურადღებო საკითხია, რომელზედაც ჩვენ განსაზღვრული პრინციპიალური დამოკიდებულება გვაქვს შემუშავებული, რომელსაც ერთიანად ამართლებს პრაქტიკა ჩვენი ჯგუფისა. დასელთა პრესსა, რა თქმა უნდა, პრინციპს ვერსად ვერ ჰხედავს, მის თვალში ყველაფერი სწარმოებს ნამუსის ქუდის ახდით, გრძელის ხელებით და ჯიბის გულისათვის.

ყოველ შემთხვევაში საკითხი საინტერესოა და ამიტომ ზედმეტად არ მიგვაჩნია ამ საქმეზე ჩვენი პრინციპიალური შეხედულება და დამოკიდებულება გავაცნოთ საზოგადოებას.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ცხოვრების დაუძლურების ერთი მიზეზთაგანი გახლავთ ერის უუფლებობა. საქართველოს მწარმოებელ ძალებს აღარა ჰყავს მფარველი და მოჰპირნახულე. მაგრამ უუფლებობა ერისა განმანადგურებელი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, როდესაც საეროვნო ძალები საერთოდ არის დასუსტებული. ძლიერ ორგანიზმს, სოციალურად და ეკონომიურად გამაგრებულ ეროვნულ სხეულს რაც უნდა დიდი ბრძოლა გაუწიოს ანაციონალურმა ძალამ, მაინცა და მაინც დიდ ვნებას ვერ მოუტანს. ირლანდიის ინგლისი საშინელ ზომებით შეეკვეთა, მაგრამ მან ადვილად აიტანა გაბატონებული ერის იერიშები, გაუწია სასტიკი და შეურიგებელი წინააღმდეგობა და დღეს ინგლისი იძულებულია თავისი იდუმალი განზრახვები ისტორიის წიაღს მიაბაროს, ხოლო დაჩაგრულ ერთა პოლიტიკური უფლებები იწამოს.

მაგრამ საქართველომ გაცილებით ნაკლებ იერიშებსაც ვერ გაუძლო. ეროვნული ეკონომიური ორგანიზაციები ჩვენში არ არსებობს. რაიმე საზოგადო საქმის შესასრულებლად გროში რომ დაგვჭირდეს, მოხერხება არ გვექნება. გვეღუპება მამული, ტერიტორია, ისტორიული საუნჯენი, ინგრევა და ისპობა ოჯახი, კერა, სამშობლო, მაგრამ სად არის ეროვნული რაიმე დაწესებულება, რომლის ხელში გროვდებოდეს ყოველივე საუნჯე ჩვენი ერისა? თვით უბრალო დაწესებულებაც კი არაა ჩვენში, სადაც შეგვეძლოს გაჭირვების დროს თავი შევაფაროთ, ხელი გავიმაგროთ, მოწოლილ უბედურებას გავუძლოთ და მით განვავითაროთ ჩვენი ყოფა-ცხოვრება. არ გვაქვს მრეწველობა, მეურნეობა. მთელი ხალხი გაბოგანებულია, გაკოტრებულია, გავერანებულია. მას შრომის უნარი არა აქვს, მას ხელობაც დავიწყებია, მიწის მოხნა-მობარვაც აღარ შეუძლიან მას. აიღეთ სამეურნეო ჟურნალი და თქვენ გაოცდებით: ჩვენს მეურნეს კიტრის და მხალის მოყვანაც არ შეუძლიან, სხვა რაღა დაგისახელოთ? მხოლოდღა ადამიანის სახე შეგვრჩენია დღესდღეობით, მაგრამ ეს სახეობაც სუროგატია ნამდვილ ადამიანის სახისა. ჩვენს არსებაში გამქრალა და მილეულა ენერგია ცხოვრებისა, ძლიერი არსებანი მოკუნტულან, წელში მოგრეხილან, საწყალო რამედ გამხდარა. მთელი ჩვენი სოციალური, ეკონომიური და ბიო-ფიზიოლოგიური შენობა შერყეულია, დარღვეულია და სრულიად განადგურების გზაზე დამდგარა. სასაცილოა ასეთ მდგომარეობაში მყოფ ხალხის საერთაშორისო ხასიათის პრეტენზიები.

ცხადია აქედგან, რომ ყოველ ქართველის, ყოველ ნამდვილ საზოგადო მოღვაწის უმთავრეს მოვალეობას შეადგენს ეს დარღვეული და დაუძლურებული სხეული ქართველი ერისა გაამაგროს, გააძლიეროს. შექმნა ბედნიერ საქართველოსი, ჩვენი მშრომელ ხალხის შემოქმედების საუკეთესო პირობებში ჩაყენება, დასვენება სულიერად და ხორციელად, ე. ი. მიღწევა სოციალურ ბედნიერებისა—აი რაა ჩვენი იდეალი, ჩვენი დანიშნულება, შინაარსი ჩვენი საქმისა. ყოველივე ჩვენი მოქმედება, საქმიანობა, აზროვნობა გამომდინარეობს ჩვენი ერის ყოველ ძალის ბედნიერებისაგან. შეიძლება ამ მიზნის რეალიზაციის დროს ჩვენ ბევრ რამეში შევცდეთ, ან გვიან მივაგნოთ იმ საშუალებას, რომელიც დიდ სამსახურს გაგვიწევდა ეროვნულ კეთილდღეობის დაცვაში, მაგრამ შეცდომები მხოლოდ იმას არ მოუვა, ვინც არაფერს აკეთებს, ვინც თათქარიძესებურად სცხოვრობს განცხრომით.

ჩვენ კი, კონკრეტიულად, ამ საეროვნო ინტერესების განხორციელება მიგვაჩნია შესაძლებლად ისეთ სოციალ-პოლიტიკურ წყობილების დამყარებით, რომელიც ჩვენს განზრახვებს, ჩვენს მისწრაფებათ არა თუ ხელს შეუშლის, არამედ დაეხმარება, ისეთ პირობებს შეუქმნის, სადაც ერის სამსახური და საეროვნო კეთილდღეობა დანაშაულობად არ იქნება ჩათვლილი.

გარდა ამ სოციალ-პოლიტიკურ წყობილებისა, ჩვენ საეროვნო ნაწილებად მიგვაჩნია ყველა ის საზოგადო ხასიათის დაწესებულებანი, რომელნიც გამსჭვალულნი არიან ერის სულისკვეთებით, ერის მუშა-ძალებით, მოქმედებენ ერის საფუძველზე—სამშობლო მიწა-ადგილზე და მოდიან მოძრაობაში ჩვენი ერის ნივთიერ საშუალებებით. შესაძლოა ასეთ პირობებში მომქმედ დაწესებულებას არა ჰქონდეს თავისი დანიშნულება სათანადოდ შეგნებული, მაგრამ ეს გარემოება კიდევ მეტ მოვალეობას გვაკისრებს, ძით ჩვენ მეტი მუშაობა გვმართებს, რომ გაუგებრობის ზღუდე დაინგრეს და შიგ ავაჩქეფოთ ნამდვილი ეროვნული მაჯისცემა, საქმე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ერის დაქსაქსულ ელემენტების თავის-მოყრასა და გამაგრებაში მდგომარეობს.

ქართველი დასელები ამ შემთხვევაში ხედავენ მხოლოდ თბილ-თბილ ალაგებს, ხაპაპურებს. რა თქმა უნდა მათი გონებრივი სივიწროვე შეუძლებლად ხდის მდგომარეობის სისრულით წარმოდგენას და ამიტომაა, რომ ისინი ხედავენ იმას, რაც, როგორც ბალღებს, თვალში ეჩხირებათ, ან რაც მათ მიაჩნიათ ცხოვრებაში უმთავრეს საქმედ. მაგრამ ჩვენი შესვლა საზოგადოებრივი ხასიათის საეროვნო დაწესებულებებში ხდება მხოლოდ და იმ განზრახვით, რომ იმ დაწესებულებათა გაძლიერებით გავაძლიეროთ კეთილ-დღეობა ჩვენი ერისა, საეროვნო საქმეებისა.

ბანკია ეს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, კოოპერაცია თუ სხვა გვარი ამხანაგობა—ჩვენ მივდივართ იმ დაწესებულებების გასამაგრებლად, რომელშიაც მოღვაწეობას ვიწყებთ, რათა იგი დაწესებულება ერთი იმ ძლიერ ფერმენტთაგანი გახდეს, რომელზედაც ადვილად შეიძლებოდეს საეროვნო მუშაობ-ს წარმოება. მაგრამ ქართველი დასელები ასეთი ინტერესებით როდი არიან აღჭურვილნი.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიისათვის მაგალ. სრულიად არ არსებობს საეროვნო იდეალი. მან არც კი იცის რა არის ეროვნული ჩაგვრა, ეროვნული შევიწროება და ამიტომ ეროვნულ საკითხს მის პროგრამაში ალაგიც არ აქვს. იგი უყურებს ყოველგვარ საზოგადო დაწესებულებას მარტივად, კლასთა ბრძოლის თვალსაზრისით; კოოპერაციაში შედიან იმიტომ, რომ იქიდან, როგორც ბელგიის და ჰოლანდიის კოოპერატივებიდგან, რაც შეიძლება მეტი ნივთიერი საშუალებანი მიიღონ. ყველგან და ყველაფერში მათ შეაქვთ პოლიტიკა და ჯგუფობრივი ინტერესი. და აი სწორედ ამ მისწრაფებითაა აღჭურვილი ჩვენი დასელობა. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოება აინტერესებს მათ არა იმ მხრივ, რომ იგი გამოიყენონ საეროვნო იდეალების გასავითარებელ ერთ-ერთ საშუალებად, არამედ იქ შეიტანონ პოლიტიკა და კლასთა ბრძოლას მოახმარონ მისი საშუალებანი.

არ იფიქროს მკითხველმა, თითქოს ჩვენ წინააღმდეგი ვიყოთ პოლიტიკის წარმოებისა. პირიქით, პოლიტიკურ წყობილების შეცვლა ჩვენი ეროვნული ცხოვრების გასავითარებლად აუცილებელი საქმეა, მაგრამ ჩვენი პოლიტიკა და დასელების პოლიტიკა სხვა და სხვა შინაარსისაა. დასელისთვის საკმაოა კლასობრივი ბრძოლა, ბოგანოების შეკავშირება, მათთვის ეროვნული პრობლემა არც კი არსებობს, ჩვენთვის კი პოლიტიკა ძლიერ იარაღად მაშინ გამოგვადგება, როდესაც თანა გვაქვს განვითარებული ეროვნული ცხოვრება და შექმნილია ისეთი საეროვნო კულტურულ-ეკონომიური დაწესებულებანი, რომელზედაც დაყრდნობა დროსა და გარემოების მიხედვით ადვილად შეგვეძლება.

ეხლა ცხადია, თუ რა ტყუილად გაჰკიოდნენ „თანამედროვე ქვეყანა“-ში მესამე დასელები საბანკო არჩევნების გამო. მათ მთელი საქმე გაჰხვიეს ყალბ სუდარაში, შეჰქმნეს ყოვლად არა-სასურველი ატმოსფერა, ხოლო ერთ ჯგუფის მოღვაწეობის პრინციპიალური მხარე სრულიად მიაფუჩეჩეს, უკუაგდეს. დასელებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენთვის თბილი ალაგი თანამედროვე ცხოვრების პირობებში სრულიად არ არსებობს, ჩვენი თბილი ალაგი ეროვნული ცხოვრების წიაღია,

**თევ. ღლონტი.**

## ქართულ დრამატიულ საზოგადოებაში

მუშაობა დასისა 15 აგვისტოს დაიწყო. სეზონში წარმოსადგენ პიესების კითხვით. დასის საბოლოო შემადგენლობა ასეთია. მსახიობი ქალები: აბაშიძე ა., ასათიანი ბ., დავითაშვილი ნ., მდივანი მ., ჩხეიძე ნ., ქიქოძე ა., ჯავახიშვილი ნ., ჩერქეზიშვილი ე., და შოთაძე ა.; ვაჟები: აბაშიძე ვ., ალექსი-მესხიშვილი ვ , გუნია ვ., ზარდალიშვილი ი., იმედაშვილი ა., იმნაძე? ... მესხი კ., სარაული მ., შალიკაშვილი ვ., შანშიევი ა., ციციშვილი ნ. და ურუშაძე ვ.; რეჟისორებად წრევანდელ სეზონში იქნებიან: ვ. ალექსი-მესხიშვილი, მ. ქორიძე და ვ. შალიკაშვილი. სცენარიუსებად: გ. ვარვარიძე და ი. მამფორია. სუფლიორებად ბ. ბეგლარიძე და ი. გრიშაშვილი.

სეზონი გაიხსნება 14 სექტემბერს სუმბათაშვილის „ღალატით“. განზრახულია შემდეგი პიესები: ი. გედევანიშვილის ფერია „სინათლე“, ქიაჩელის „სამღვდელი?“ და „ნინო“, ჭანტურიშვილის „მორევში“, და ტრამიშვილის ახალი პიესა. ნათარგმნი: „დამარცხებული რომი“, „კულისები“ შჩეპკინა—კუპერნიკისა, „ყაჩაღები“ სრულად განახლებული. კვირაობით ბავშვთათვის გამართება განსაკუთრებული სადღესასწაულო წარმოდგენები. აგრეთვე სეზონის განმავლობაში განახლდება საღამო-მეჯლისები.

რაც შეეხება დრამატიულ კურსებს აქ სრული რეორგანიზაციის მოხდენას აპირებენ, მოწვეულ იქნება განსაკუთრებული კომისია მცოდნე პირთა და გამგეობისა, რომელიც თანახმად საზოგადო კრების სურვილისა ახალ წესებს შეიმუშავებს. როგორც ჩვენ მკითხველებს ეხსომებათ კრებაზე ის აზრი გამოითქვა, რომ სწავლა კურსებზე უფასო იყოს, და მსმენელთა მიღებისათვის დაწესებული იყოს გამოცდა.

## წმ. თამარ მეფის ტაძარი ტფილისში

(წერილი რედაქციის მიმართ)

წმ. თამარ მეფის ტაძრის აგების საქმემ საზოგადოებრივი ხასიათი მიიღო.

თამარ მეფე ფულებზე წარწერით კი არა მარტო, ნამდვილ საქმითაც, ე. ი. ცხოვრებით ... იყო **შედეგი** (მიმდევარ) **მხნეობ... დიდება სარწმუნოებისა.** ქართლი... დიდება შენივთდა და მოინათლა წ... თამარ მეფის სახელითა, თუმცა ი... დიდების გასამტკიცებლად უღვ... წინათ დავით კუროპალატს, ბაგრა... III, ბაგრატ IV, წმ. დავით აღმაშე... ნებელს და სხვა მეფეებს, თუ ქვეყნ... მოჰპირნახულე ქართველებსა.

მატიანეში წმ. თამარ მეფის ცხო... ვრებას ხასიათი აგიოგრაფიული არ... ნაკლები აქვს, ვიდრე პოლიტი... კური. წმიდა დედა მეფობს ღვთ... არა თუ ნებით მარტო, არამედ შთ... გონებითაც, როგორც მისი ცხებუ... ლი. ჩახრუხაძესაც თავის **თამარიან... ში** არა ნაკლების მოწიწებით და... ხატავს წმ. თამარის პირადობა.

აი, დაახლოებით რას ამბობს ა... ტორი:

„ზენით მოჰხედა უფალმა თამა... შუქმფენსა. ხელმწიფობა, კვერთხ... და ბედნიერება მიანიჭა. ღმერთთა... დაახლოებულია ჯვარითა, როგორ... მოწესე. ღმერთს დაუვალებია მ... თვის სჯულის განმტკიცება. კაც... ჰმონებენ და იპატრონებენ, აგრეთ... ვეფხნი კლდისა და ლომნი შამბ... სანი.

იესეს (დავით მეფის და წინასწარ... მეტყველის) ძირია, ზენად ცხებუ... ლია. მოვლინებულა შემწედ აღნ... თქვამის მესიისა. სახე დაულამბე... ლია, ტკბილი და ღრმად მოწყალე... სიბრძნით სავსე და ორგულთან მო... თავსებელი, სული ღვთისაგან მონა... ბერი აქვს და ღმერთია მისი მცვ... ლი. ღვთის მცნებაა მისი წადილი... მისი ავი არავის გაუგონია. მისი მო... ჰედება ცის ნებით არის. მისი მჭევრ... მეტყველების სიბრძნე სწორ-უპოვა... რი და ღვთაებრივია, წმინდად დ... სახულია. მისებრ სრული ადამიან... არსად დაბადებულა. ძედ ღვთისა... საწოდებელია. არავისა აქვს მისებრ... ქცევა, გონება და სული წრფელ... შიში ღვთისა, გულს რომ უთესია... დაუვიწყარი აქვს. არავინ იყო, ავ... სიტყვა ეკადრებინა მისთვის“.

ეს ამონაწერი ცხად ჰყოფს, თ... თანამედროვენი რა თვალით უცქ... როდნენ წმ. თამარ მეფის ზნეობას... და სათნოებასა.

ანტონ ეპისკოპოსი, რომელსა... ამას წინეთ თხოვნით მიჰმართეს, თავ... ედო განხორციელება ქართველთ... უწმინდესი გულის წადილისა დ... რომელსაც მოკლე ხანში, მის... განცხადებისავე თანახმად, კიდე... მიერთმევა ქართველთ საზოგა... დოების წევრთა და საზოგადოე... ბრივ დაწესებულებათა წარმო... მადგენლების ხელ-მოწერილი სათ... ხოვარი, ლაპარაკი არ უნდა, იგუ... მოიდგინებს, რომ წმ. თამარ მეფი... ტაძრის აგება ტფილისში მართლ... უეჭველ საქმედ აქციოს. აღმშენე... ბელი კომიტეტი რომლის თავმჯდო... მარედაც მისი მეუფება იქმნება, ნე... ბართვის გამოტანის, ფულის შეკრე... ბის და თვით ტაძრის აგების საქმე...

## ფიქრები სამშობლო ლიტერატურაზე

XVI

**„გულდაკოდილი არწივი“.**

**ვაჟას პოეზია.**

(დასასრული).*

ზევით ვაჟა ნიცშეს შევადარეთ. ეს შედარება შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან ჩვენი მგოსანი ჭეშმარიტად ჰზიარებია დაუცხრომელ ვნების ფილოსოფოსს. „ზე-კაცი“, რომლისაკენაც იწვევს ნიცშე და რომლის გზაზე თანამედროვე ადამიანი მარტოოდენ „ხიდია“, იგი ზეკაცი ჯერ არ ყოფილა, მაგრამ ნიცშეს ღრმად სწამს, რომ იგი უეჭველად მოვა და გასწმენდს, წვრილმანობით დაცხრილ-ულ, სულს ადამიანისას...

„დიდ, თქვენ იყოთ მაღალნი და მაღალის წოდების: თქვენში მრავალი მრუდეა და მახინჯი. არ მოიპოვება ქვეყნად მჭედელი, რომელიც გაგმართავდათ და გაგასწორებდათ. თქვენ მხოლოდ ხიდი ხართ, რომ მაღლებმა გადაგიარონ. თქვენ ნიშნავთ საფეხურებს. მაშ ნუ განრისხდებით მასზე, ვინც თქვენით ადის **თვის** სიმაღლეზე“.

„სხვათ ველოდები მე ამ მთაზე, თქვენზე მაღალთ, თქვენზე ძლიერთ, ძლევამოსილთ, ამაყთ სულით, მათ, რომელნიც სულით და ხორცით აღშენებულან სწორის კუთხეებით: **მომცინარი ლომები** უნდა მოვიდნენ!..“**)

იგი „ზეკაცი“ ვაჟასათვის უკვე ადრევე მოსულა და გადაშენებულა კიდეც, მაგრამ იგი მაინც „ქინ-მორეული აღდარუნებს ფანდურს“, რათა ამ ძველ რაინდთა და ზეკაცთა საარაკო ამბები მოგვითხროს და ჩვენშიაც ცოტათი გაადვიძოს წყურვილი ამ ძლიერების საზიარებლად.

ამიტომ ნიცშე უფრო მომავლის მომღერალია მისი მგოსანი, აღფრთოვანებული და ჭირვეული ამ მომავლის ცოცხალის წარმოდგენით. ვაჟა, უმეტესად წარსულის პოეტია, ძველის სიამაყის და დიდების,—რომელიც მარტო ამ დიად ხანგრევებზე სდგას და ცრემლს აფრქევს.

აწმყო კი ორთავესთვის საზიზღარი და უარსაყოფია, რადგან ადამიანს დაწვრილმანებულს, დაქუცმაცებულს, სულით მდაბალს და ქიასავით მიწაზე მხოხავს ხედავენ... ამიტომ ორივენი გვერდს უხვევენ ზიზღით ამ აწმყოს და ერთი მომავლისკენ გაიყურება სიხალისით აღსავსე, ხოლო მეორე კი წარსულ დიდებისაკენ. ამიტომ ორთავენი საშინელ და ამაყ ობლობას განიცდიან.

...„მაგრამ არც ხელთ და არც ფეხთ ჩემსას მე არ ვიბრალებ, მე არ ვიბრალებ ჩემს მეომრებს: როგორ-ღა შეგეძლოთ თქვენ გამომდგარიყავით ჩემის ომისათვის? თქვენთან მე დამეკარგებოდა ყოველი გამარჯვება. და მრავალნი თქვენგანი დაეცემოდნენ, რა კი ისმენდნენ მარტოოდენ ხმას ჩემის ნაღარისას.

...„მე ვსაჭიროებ წმინდა და სწორ სარკეს ჩემის სწავლისათვის; თქვენს მაღლობზე კი სახიჩრდება თვით ჩემი საკუთარი სახეც“*).

აი, ამის გამო განიცდის ობლობას ვაჟაც, ამის გამო იგი მარტოა ბრძოლის ველზე და არავინა სჩანს, ღირსეული აძ ველისა, რომელსაც შესძლებოდა ვაჟას ამაყი სული ეტარებინა, ძველი ქართველის სისხლს ჰპირებოდა და მგოსნის რაზმი გაეძლიერებინა.

არ არის ვაჟას ახლოს მისებრ აქტივობის წყურვილით გატაცებული გმირი, რომელიც მარტო მოქმედებაში ჰპოულობს მოსვენებას და არა მოსვენებაში—მოქმედებას. ნიცშე ამ ბრბოს „ფარა“-ს და „ჯოგს“ უწოდებს. ამ „ჯოგის“ საუკეთესო დამახასიათებელია მისი მშვიდობიანობა. „საზომი, რომლითაც ჩვენს დროში ფასდება სხვა და სხვა გვარი საზოგადოებრივი ფორმები, სრულიად ძსგავსებულია იმისი, რომლითაც მშვიდობიანობას აწერენ მეტს ღირებულებას ვიდრე ომიანობას, მაგრამ ეგ დაფასება ანტიბიოლოგიურია, იგი წარმოშობილია ცხოვრების დეკადანსიდან“.*) ასეთივე ანტიბიოლოგიურ მოვლენად სთვლის ვაჟაც რაინდის უბრძოლველად სიკვდილს, მის მუდმივ მშვიდობიანსა და უწყინარ სიცოცხლეს. ჩვენ დავინახეთ, მას სრულ ბუნებრივად მიაჩნია, რომ „ცხოვრების ჯარას ძველი ფრთები გამოეცალოს და მათი ადგილი ახლებს დაეთმოს“. ვაჟასაც ისე, როგორც ნიცშეს, არა ჰყავს მეომარნი, მაგრამ პირველისათვის იგი რაზმი უფრო მცირედი მასშტაბით განიზომება, მას სჭირია საქართველოს ძლევა-მოსილება და მისი უზრუნველყოფა გაქრობისაგან, მეორესთვის საჭიროა მთელი კაცობრიობის ხსნა განწმენდილ ზეკაცის მოვლინებით, ამიტომ მისი მცნება უფრო უნივერსალურია. ნიცშესათვის ამ „ჯოგ-ური“ ფსიხოლოგიის მამოძრავებელი მარტოოდენ „inertia-ა...“ საცა მონობაა, იქ აქტივობას ასპარეზი არ მოეპოება.

ასევე მსჯელობს ვაჟაც, რომელიც მთელის არსებით გადახრილა ჩვენ წინაპართაკენ, რომელთაც ახასიათებდათ მომენტი განუწყვეტელ აქტივობისა. იგი მუდამ სამშობლოს უდგა დარაჯად და როცა, უკვე დავადებულ საქართველოს ახალი თაობა გაურბოდა, ვაჟა მარადის თავის კერასთან იყო, მისი კვნესით კვნესოდა და წარსულის მდიდარ ცხოვრებაზე დამღეროდა, რომ იმედ-გაცრუებულ ხალხს სიცოცხლის წყურვილი მოსდებოდა. მას, ილიასთან ერთად, შეუძლიან სთქვას:

„მარად და ყველგან, საქართველოვ,
მე ვარ შენთანა,
შენთა შვილთ სისხლით გული
სრულად გარდამებანა...
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო,
შენი წარსული...
. . . . . .
შენის ცრემლითა თვალნი ჩემნი
მიტირებია.
შენის აწმყოთი გული, სჯული
დამწყლულებია!“.

დასასრულს ორი სიტყვა ვაჟას მხატვრულ ნიჭზე და მისი წერის მანერაზე. საზოგადოდ, ვაჟას ბევრნი ამტყუნებენ, თითქოს მისი ენა პროვინციალიზმით სჭარბობდეს და მრავალგან გრამატიკულად უმართებულო იყოს. ეს მართალიც არის, მაგრამ მანამ, სანამ ამ ენას მარტო გრამატიკულად, მშრალად მიუდგებით, მაგრამ საკმარისია გაგიტაცოსთ პოეზიამ, საკმარისია განიცადოთ მხატვარი ვაჟა, რომ ეს ნაკლი მსწრაფლ მის ღირსებად იქცეს!

ვაჟას ამაყნი და მტკიცე ადამიანები სწორედ ასეთის ენით უნდა ლაპარაკობდნენ, მის მიერ აღწერილი ბუნება ასეთისავე, ჯერ არ სმენილის, განსხვავებულის ენით უნდა საუბრობდეს. ვაჟას ენა ერთ გვარ სიმტკიცის და მკვეთრობის მატარებელია, იგი ნამდვილი ხალხური ენაა და მარტო ხევსურთა რაინდულ ცხოვრებას, ამ მთის შვილთ შეეძლოთ მისი შექმნა. და ამ ხალხის მიერ საუკუნოებით შექმნილის გარდალახვა ისე ძნელია, როგორც მის ჩვეულებათა სწრაფი აღმოფხვრა. ეს თვითონ ვაჟასაც კარგად ესმის, როცა იგი ამბობს:

„ხალხთ ჩვეულება დიდია:
დევსა ჰგავ რკინის მკვნეტავსა!!!

ვაჟას ენა, არსებითად, შეხმატკბილებულია მის პოეზიის ჰანგებთან, მისი სულის კვეთება და განცდა, თქვენ ინსტინქტით გჯერათ, რომ სხვა გვარ ენით არ გამოითქმის. ჭეშმარიტად, ჩვენი მგოსანი ფიზიოლოგიურად განიცდის ამ ხალხურ ენის აგებულებას და იგი მასში ისევე ძლიერად და ღრმად სცოცხლობს, როგორც სული მთელის ერისა... თუ ენიდან გადავალთ პოეტის მხატვრულ სახეობაზე, ჩვენ დავინახავთ, რომ ვაჟა ჭეშმარიტი შვილია ბუნებისა, მარტო ამ სფეროში გრძნობს მისი ნიჭი სილაღეს და შეუდარებელ ძლიერებას. იგი ფერადებს მარტო ამ ბუნებაში ეძიებს და ისეთისავე სისადით და სისპეტაკით განიცდის, როგორიც თვითონ იგი ბუნებაა...

არც ერთი თანამედროვე ჩვენი მგოსანი და თითქმის არც ძველნი ისე ძლიერად არ განიცდიან ამ ბუნების სიყვარულს და მის ნათესაობას, როგორც ამას განიცდის ვაჟა. იგი აქ დიდებულ ფილოსოფოს რუსოს წააგავს, რომელიც იტყოდა, რომ ბუნებიდან წარმონაშობი ყოვე... ლივე მშვენიერი და ძვირფასია, მაგრამ ადამიანის ხელი მას ახდენს დ... რყვნისო. ასეთივე ჰანგების საუკე... თესო მიმდევრად მსოფლიო პოეზიაში ითვლება უოტ უიტმანი, რომელმაც მთელის თავის არსებით განიცადა ბუნების სისპეტაკე და მის... მშვენიერების ძალა.

ოსკარ უაილდიდან თითქოს ახა... ლი ეპოქა იშლება, როცა ადამიანი... ხელიდან გამოსულსა და გარდაქ... მნილს ბუნების სახეს კი არ აფა... ბენ და მით კი არ განიცდიან მი... ღირებულებას, არამედ, წინააღმდეგ... მშვენება ბუნებისა ფასდება იმდენა... რამდენადაც იგი ადამიანის ხელიდა... გამოსულ, ადამიანისაგან ქმნილ მშვე... ნებას დაედრება. აქ, თითქოს, ერთ... გვარი ამბოხებაა ადამიანის სულისა, რომელსაც უნდა ღმერთის მონობიდან განთავისუფლდეს ადამიანი და... თვისი ძალა მშვენებისა უფრო წი... დააყენოს. აშკარაა, აქ ინდივიდუალიზმის ერთი ძლიერი ჩანასახი სჩანს, რაიც უაილდს ნიცშესთან ანათესავებს.

ვაჟა სულ სხვა გვარად უცქერი... საგანს; მას ყოველივე იმ სახი... იტაცებს, როგორადაც იგი ბუნებამ... ძალას შეუქმნია. მასში იგი ხედავ... მრავალგვარ საიდუმლოებათა ახსნა... (სიყვარულის, სილამაზის, სიკვდილი... წარმოშობას და სხვ.) ადამიანის ფა... ნტაზია ყოველთვის ამ ბუნების სა... ზღვრებში ნავარდობს და მას არ... შეუძლიან, რაც უნდა მეამბოხ... იყოს, გარდალახოს იგი საზღვრებ... და თვით განყენებულ მცნებათა სი... მბოლონიც წარმოიდგინოს რეალუ... რად ნახულ ბუნების სახის გარეშე.

სიმბოლო სათნოებისა, შიშისა, სიყვარულისა, ბოროტებისა, თვი...

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 972.

**) იხ. ნიცშეს „ასე იტყოდა ზარატუსტრა“. გვ. 324—325.

*) ibid გვ. 324.

*) იხ. ფრ. ნიცშეს თხზულ. ტომი XV გვ. 210.

უნდა გაუძღვეს ყოველის გზით, რაც ნება დართულ იქმნება მთავრობისაგან.

ქართველი ქალის თანაგრძნობაც სულს ჩაუდგამს ამ საერო საქმეს.

ქართველ ქალს დიდბუნებიანობა ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია, ღვთის მადლით, და კვლავ თავს იჩენს. ამბობენ ბაგრატის ტაძრის ასაშენებლად ქალებს აჰქონდათ მადლობზე ზოგს აგური, ზოგს ქვა, ზოგსაც რძე, კირისა და სილის გასახსნელად, რომ შენობას მეტი სიმტკიცე ჰქონოდაო. მე მჯერა და მართალი რომ არ იყვეს, არც ისეთი უცხო რამ ტაძარი აშენდებოდა ძველი ქუთაისის გვირგვინად, რომლის ნანგრევს დღესაც კიდევ მშვენება შერჩენია. რა საქმესაც ხალხი ხელს მოჰკიდებს და ეცდება მის გაძღოლას, ყოველთვის დიდებულად დაასრულებს. ეხლავ ქალთა წრეები უნდა დაარსდეს საქართველოს ყოველ ქალაქ-დაბა-სოფელში და შეუდგნენ ფულის შეგროვებას წმ. თამარ მეფის ტაძრისთვის. ფული უნდა ინახებოდეს ტფილისის ერთ-ერთ ბანკში, უმჯობესია სამეურნეო ბანკში, ამშენებელი კომიტეტის სახელდახელო ანგარიშზე.

სად უნდა აშენდეს ტაძარი ან რა გეგმით?

„სახალხო გაზეთში“ იყო გამოცხადებული, განზრახვა არის, ტაძარი აშენდეს თანახმად გელათის ტაძრის გეგმისა, იმ ძეგლის, სადაც ხალხის თქმულებით წმ. თამარის გვამი ასვენია. ჩინებული განზრახვაა. ერთის შეხედვით შეიძლება ეს საქმე ძნელად ეჩვენოს ადამიანს, მაგრამ საერთო ძალ-ღონით არც ისე ძნელი უნდა იყოს წმ. თამარის ტაძრის აგება.

რადგანაც ტაძარი საერო უნდა იყვეს და არა სამრევლო, სადაც პირველ მაისობას ყოველი კუთხის ქართველობამ თავი უნდა მოიყაროს სალოცავად წმინდა მეფის სახელის პატივსაცემად, ამიტომ საბურთალოზე უკეთესი ადგილი ტფილისში არსად მოიპოვება. ტფ. თავად-აზნაურობა ყოველ საერო საქმეს ჩვენში გულშემატკივრობით გასძღოლია და იმედს არა ვკარგავთ, კვლავ კიდევ გაუძღვეს და თავის საკუთარ მამულში ადგილი მოუზომოს ქართველს ერსა მისი მასახელებელი წმინდა მეფის ტაძრის ასაშენებლად.

**თამარიანი.**

# ტყის დაცვა ცეცხლისაგან

უზომო, უანგარიშო ზარალს აყენებს ცეცხლი ტყეს. უკანასკნელ 20—25 წლის განმავლობაში ცეცხლმა გაანადგურა, მოსპო მრავალი უღრანი-გაუვალი ტყე, მშვენება და სიამაყე ჩვენის ქვეყნისა; გატიალდა, უდაბნოდ იქცა ბევრი ედემის მგზავსი ადგილი.

აი, გადავარდა ტყეში ცეცხლის პატარა ნაპერწკალი და დაეცა იგი სიცხისაგან გახურებულ და გამხმარ ფოთოლსა და ბალახზე. ტყეში შეჭრილმა ნიავმა გააღვივა, გააძლიერა, ცეცხლად აქცია; მოედო იგი ნაყარ შეშას და ჯირკვებს, ავარდა ალად, მისწვდა მდგომიარე ხის ძირითა ტოტებს და შუშხუნასავით აანთო, ააპრიალა იგი კენწერომდის.

ერთის წუთის, თვალის დახამხამებამდის უმალ შერუჯა, წუთისოფელს გამოასალმა უზარ-მაზარი 300—400 წლოვანი ფიჭვი, თუ ნაძვი.

ცეცხლი ხიდან-ხეზე გადადის, ღონივრდება და ედება ას და ათას დესეტინა ტყეს. სტიქიად გადაქცეულ ცეცხს ვერ ელობება წინ და ვერ აჩერებს ადამიანის სუსტი ძალა და გალაღებული ცეცხლი მთელი თვეობით ანადგურებს ტყეს. უმწეო, უძლურია ამ დროს ადამიანი, მას მხოლოდ ის და დარჩენია ნუგეშად, ცას შევედროს, მას სთხოვოს შველა, მაგრამ ცა ხშირად უცრუებს ადამიანს იმედს და აგდებს მას სასოწარკვეთილებაში.

რა საშუალებას, რა ხერხს უნდა მივმართოთ, რომ არ გავანადგურებინოთ ცეცხლს მთლად, ისედაც გატიალებული და გავერანებული ჩვენი ტყეები? „თუ გაუშვი ცეცხლი, ველარ ჩააქრობ“ გვეუბნება ხალხის სიბრძნე-გამოცდილება. ჩვენც ამ სიბრძნე-გამოცდილობით უნდა ვიხელმძღვანელოთ, უნდა ვეცადოთ ცეცხლი ტყეში არ გაუშვათ-გავაძლიეროთ.

ცეცხლთან ბრძოლა ტყეში, მისი შეკავება და ჩაქრობა მაშინ, როცა იგი ჯერ არ გაძლიერებულა, მდგომიარე ხეებზე არ გადასულა და პატარა ადგილზე ბატონობს, სულ ადვილია, მაგრამ მაშინ კი როცა ცეცხლი უკვე გაძლიერებულა, მდგომიარე ხეებს უკიდია და დიდი ადგილი დაუჭერია—მასთან ბრძოლა ძნელია და ჩაქრობა ხშირად შეუძლებელია ადამიანის ძალით. მაშასადამე, თუ გვინდა ცეცხლი ტყეში არ გაძლიერდეს, საჭიროა რაც შეიძლება დროზე გავიგოთ ცეცხლის არსებობა ტყეში.

უმეტეს შემთხვევაში ტყის პატრონი ანუ გამგე ცეცხლის გაჩენას ტყეში იგებს რამდენიმე დღის შემდეგ, მაშინ როცა ცეცხლი გაძლიერებულა უკვე და დიდ ადგილზე მოჰკიდებია ტყეს.

როგორ, რა საშუალებით შეიძლება ტყეში ცეცხლის არსებობის დროზე გაგება?

ამ კითხვის მშვენიერი პასუხია ბორჯომის მამულში შემოღებული საშუალება ტყეში ცეცხლის დროზე აღმოსაჩენად, აი ეს საშუალება: ბორჯომის მამულის უმაღლეს მთის წვეროებზე, საიდგანაც, როგორც ხელის გულზე, ისე სჩანს ყოველი კუთხე მამულისა, არის გამართული საყარაულოები. ეს საყარაულოები შეერთებულია ტელეფონით ყველა ტყის ნაწილის გამგის სახლთან და კანტორასთან. ამოვარდება თუ არა სადმე ბოლი, ყარაული მყისვე ატყობინებს ტელეფონით ტყის იმ ნაწილის გამგეს, რომლის რაიონშიაც გამოჩნდა ბოლი და დურბინდის საშუალებით ნიშნეულად უჩვენებს ადგილს. ტყის გამგე, გაიგებს რა ცეცხლის გაჩენას, დაუყოვნებლივ აგროვებს ხალხს და მიისწრაფის ცეცხლის ჩასაქრობად და ადვილათაც აქრობს მას რადგან ცეცხლს დრო აღარ დარჩა გასაძლიერებლად.

ამ გვარად მას შემდეგ რაც ტელეფონი და საყარაულოები გამართეს ბორჯომის მამულში, ცეცხლმა დაჰკარგა თავის გამანადგურებელი ძალა და უშიშარი გახდა მამულისათვის.

10-12 წელიწადია რაც ტელეფონი შემოიღეს ბორჯომის მამულში და მთელ ამ დროის განმავლობაში არ დამწვარა 100 დესეტინა ტყე, როცა მარტო ახალციხის მაზრის სახელწიფო და კერძო ტყეებში დაიწვა ათი ათასი დესეტინა ძვირფასი ნაძვის და ფიჭვის ტყე.

ხარჯი ტელიფონის და საყარაულოებს გამართვისთვის შედარებით იმ უზომო ზარალთან, რომელსაც იწვევს ტყის განადგურება ცეცხლისგან, იმდენად მცირეა, იმდენად უმნიშვნელო, რომ სალაპარაკოთაც არ ღირს.*)

საჭიროა ეს საშუალება მიიღონ მხედველობაში ტყის მეპატრონეებმა და გამგეებმა, თუ რომ სურვილი აქვთ აარიდონ ქვეყანას ის დიდი უბედურობა, რომელიც მოელის მას (ქვეყანას) ტყეების განადგურებით ცეცხლისგან.

**მ. მ.**

*) ვისაც სურს, შეგვიძლიან მივაწოდოთ დაწვრილებითი ცნობები და ხარჯ-აღრიცხვა ტელეფონის გამართვის შესახებ. **მ. მ.**


წლიურ ხელის მომწერთა
**საყურადღებოდ**
ამით ვაცხადებთ, რომ თანახმად ხელის მოწერის პირობებისა, წლიური ხელის მოწერის ფასის გადასახდელი მეოთხე და უკანასკნელი **ვადა არის 1 სექტემბერი**, როდესაც გადახდილი უნდა იყოს 1 მ. და 50 კ.
**„სახალხო გაზეთის“ კანტორა.**


# უკრაინული პრესა კ. ფოცხვერაშვილის მუსიკის შესახებ

უკრაინულ გაზეთის „რადას“ ივლისის ბოლო ნომერში ლ. კობილიანსკი კ. ფოცხვერაშვილის მუსიკას აცნობს უკრაინულ საზოგადოებას.

„ქართველებს, როგორც უკრაინელებს ძლიერ უყვართ სიმღერა და მუსიკა. ქართული ხალხური მელოდიები სავსეა ორიგინალური სილამაზით და ლირიზმით. ქართულ მელოდიებს საფუძვლად უდევს ძველი ბერძნული დიატონიური წყობა, მაგრამ არაბთა და სპარსთა მუსიკის ზეგავლენის გამო მელოდიებს დაჰკარგვია წმინდა დიატონიზმი და მის მაგივრად ჩაუქსოვია სპარსული მელოდიების თვისებანი (ქრომატიზმი, ტეტრახორდი, გაძლიერებული სეკუნდაები, მელიზმები და სხვ.).

როგორც ვხედავთ, ქართული ხალხური მელოდიები სწორედ განვითარების იმავე გზას ადგას, როგორც უკრაინული. ქართველთა შორის გამოჩნდა მუსიკალური მოღვაწე, დაჯილდოვებული დიდი მუსიკალური ნიჭით, ნამდვილი ქართველი, რომელმაც

არ დაივიწყა იგი სიტყვა,
რომელსაც დედა უმღერდა,
როცა მას პაწიას არწევდა,
ბავშვობითვე გულს უნერგავდა.

პირიქით, გულდასმით აგროვებს, მომხიბვლელ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში საუცხოვო და საუკეთესო ხალხურ მუსიკალურ ქმნილებათ, რომელნიც მხატვრულად შეაკეთა და შეამუშავა.

ქართველთა და უკრაინელთა ურთიერთობაში სჩანს განსაკუთრებული სიმპატია—რაშიაც კაცი ადვილად დარწმუნდება, თუ დაკვირვებით გაიცნობს ამ ორ ერთა განწყობილებას კიევში, ტფილისში ან თვით ბაქოში.

ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია უკრაინელ მკითხველებს გავაცნოთ ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი, რომელმაც უანგარო მოღვაწეობით ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა როგორც თვისი თანამემამულეთა ისე სხვათა შორის“.

მოკლე ბიოგრაფიული ცნობების გადმოცემის შემდეგ გაზეთი განაგრძობს:

„ფოცხვერაშვილის ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნაწყვეტი ოპერა „ქერპთა დამხობი“-დან, რომელსაც კონცერტებზე ასრულებს. ოპერის შინაარსი აღებულია იმ დროიდან, როდესაც საქართველომ ქრისტიანობა მიიღო (მეოთხე საუკუნე). ამ ნაწყვეტთა შორის საუცხოვოა მთავარ ქურუმის არია გუნდთან ერთად. არია დაწერილია წმინდა ხალხური ხასიათით, შერეული ხოროს მძლავრი აკომპანიმენტით.

საორკესტრო სიუიტა „ამირანი“ მოწმობს, რომ ფოცხვერაშვილი არაჩვეულებრივი სიმფონისტია. ჩინებულად არის გადმოღებული ხალხური სიმღერა „მურმან“. ამ სიმღერაში უცვლელად დაცულია ძველებური მელოდია, რომელსაც ეტყობა ძველებური დიატონიზმი. მდიდარია დრამატიზმით ხორო უდიდესი სახელოვან პოეტის თავადის ა. წერეთლის ლექსის „დელა“-სი. ვახტანგ მეფის მარში (ხორო და ორკესტრი)—საომარი სიმღერა ძლიერ აღმაფრთოვანებელია...

დასასრულ ჩვენ უკრაინელნი, სიხარულით აღვსილნი მოძმე ქართველთა წარმატებით, ვუსურვებთ, რომ მათთვის კ. ფოცხვერაშვილი იყოს ისეთივე დაუღალავი და დაუზარებელი მუშაკი საზოგადო ასპარეზზე, როგორიც იყო ჩვენთვის ჩვენი უკვდავი ნიკოლოზ ლისენკო“.

# მოწერილი ამბები

**კახეთი.** 15 აგვისტოს, მარიამობას, დიდი დღეობები იმართება სოფ. ენისელში და აწყურში. პირველს უფრო დღეობის ხასიათი აქვს და წელიწადში ერთხელ იკრიფება მრავალ-რიცხოვანი ხალხი, ხოლო მეორეს—წმინდა რელიგიოზური, რომელსაც მინდა შევეხო რამდენიმე სიტყვით.

აწყურის თეთრი გიორგის ეკლესია ცნობილია შიგნით კახეთში და მთაში თავისი სიწმინდით, მთელი წლის განმავლობაში შაბათობით მიდის მლოცავი მიჰყავთ სამლოთო, მიდიან ურმებით, ცხენებით, ქვეითად და ღამეს ათევებენ.

მხოლოდ მარიამობას დიდი დღეობა იცის, მაგ. წარსულ 15 აგვისტოს აუარებელი ხალხი დაესწრო, ასევე იქნება სწორზე და ყოველ კვირა-ძალზე...

ეკლესიას დიდი შემოსავალი აქვს, მიწერილია შუამთის მონასტერზე და განაგებს ამ მონასტრის მღვდელმონაზონი. ეს ეკლესია, ალავერდის სობორო და თვით შუამთა ერთ ერთეულს წარმოადგენს კახეთში, რომლის ძინამძღვრად ამ ჟამად იმყოფება არხიმანდრიტი ნესტორი, ხოლო ქონებათა გამგეთ—ხაზინადრად იგუმენი ნიკოლოზი. ალავერდის სობოროს არავითარი შემოსავალი არა აქვს, თვით შუამთასაც—ასევე ნაკლები და თუ ეს ეკლესია არა, მწირი იქნებოდა ამ კახეთის სიწმინდეთა მდგომარეობა.

სხვათა შორის თეთრი გიორგის შემოსავლიდან, კახეთის სამღვდელოების დადგენილებით, თელავის სასულიერო სასწავლებელს წელიწადში 600 მან. ეძლევა, მხოლოდ ამავე შემოსავლიდან ალავერდის ეპისკოპოზისთვის გადადებულია ამდენივე.

შემოსავალი დიდი აქვს, მხოლოდ სრულებით მოუწყობელია და დიდ გაჭირვებას განიცდის დღეს იქ მისვლელი.

სახლები და ჩარდახები, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ეკლესიის გარშემო გადახურულს, სრულებით არ მოიპოვება და მლოცავს თოვლიანულიან ზამთარში და სიცხე-პაპანაქებიან ზაფხულში ცის ქვეშ უხდებათ ღამის თევა, ავდარში ხომ დიდ გაჭირვებას განიცდიან. ამას გარდა წყალი არა აქვს და მლოცველი იძულებულია შორიდან ეზიდოს, აქაც ნეკის ოდენა ძლივს გადმოდის, 2-3 საათი ლოდნა უხდებათ და ხშირად ჩხუბიც იმართება ხოლმე.

ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად ძნელი არ არის წყალ-სადენის გაკეთება და არც დიდ ხარჯს გამოიწვევს. რაც შეეხება შენობებს, უნდა აშენდეს თან და თანობით ქვითკირის ან ფიცრის ოთახები ეკლესიის მოშორებით რამდენიმე ათეული მაინც. მართალია ეს შესამჩნევ ხარჯს გამოიწვევს; მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამით ბევრი მლოცველი იხსნება უხერხულობის, გაციების და ავადმყოფობისგან. მაშინ იმ ანტისანიტარულ მდგომარეობის თავიდან აცილებაც ადვილი გახდება. რომელშიაც იმყოფება დღეს ძისი მიდამო.

**დავიწყებული.**

**დაბა ცხინვალი.** ამ თვის თავში გამართულ „სტუდენტების საღამომ“ დიდძალი საზოგადოება მოიზიდა“. ახალგაზდობამ მეტად დიდი უნარი გამოიჩინა საღამოს მოწყობაზე.

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ აქ ახალგაზდობა მთელს ზაფხულის განძავლობაში სისტემატიურად აწყობდა უფასო ლექციებს თუ წარმოდგენებს. ამით მან საზოგადოების თანაგრძნობაც დაიმსახურა. რაღა თქმა უნდა, ახალგაზდობაც წაქეზდებოდა და აი, ეხლა მან მომავალი მოქმედებისთვის ნიადაგის მეტი განმტკიცება მოისურვა. ამ მიზნით ახალგაზდობამ განიზრახა „სტუდენტთა საზოგადოების“ დაარსება, რომელიც ყოველ ზაფხულს ეცდება ხოლმე როგორც ლექციებისა, ისე წარმოდგენების მართვას. ამასთანავე ჰსურს ტრადიციად მოჰქონდეს „სტუდენტთა საღამოს“ გამართვა, ღარიბ ამხანაგების დასახმარებლად.

ახალგაზდობას ბევრის გაკეთება შეუძლიან. აი, ამიტომ არის, რომ თავის უკანასკნელს კრებაზე რამდენიმე ახალგაზრდის ინიციატივით წარმოდგენილი იქმნა გეგმა მომავალი მოქმედებისა და იმ წესდებისა, რომელიც დასამტკიცებლად იქნება წარგზავნილი. სურვილი ამ ახალგაზდათა უფრო ფართოა, ვიდრე ეს შეიძლება გვეგულისხმა: მათ ჰსურთ არა მარტო ცხინვალის ახალგაზდათა გაერთიანება, არამედ მთელი რაიონისა. მართლაც, შეძლებისა-დაგვარად რაიონიდანაც ბევრი გულწრფელი მუშაკი მოდიოდა და იმედი უნდა ვიქონიოთ, როცა წესდება შემუშავებული და დამტკიცებული იქნება მაშინ უფრო ბევრი გამოჩნდება.

სასურველია, ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში მიჰბაძონ ცხინვალის ახალგაზდობას, იქნება ამითი უფრო მალე მივცეთ სიფხიზლეს, იქიქნება ამით სტუდენტობამ მეტის ნაყოფიერებით გაატაროს დრო.

---

ლევაიებისა და მრავალ სხვა ვერც ერთ ხელოვანის ფანტაზიას დღემდე ვერ წარმოუდგენია გარეშე ბუნებაში ნამყოფ სახისა. შესაძლოა, სახე იგი ერთგვარი კომბინაცია იყოს მრავალ სახეთა და რეალურად არ ყოფილი, მაგრამ იგი მაინც ბუნებრივია, რამდენადაც ამ სიმბოლოს ნაწილები ბუნების წიაღიდან ამოკრეფილია.

მეტი უსაზღვროა „საზღვარი“ ბუნებისა და მანამ ილოცხლებს მასში ხელოვანი, სანამ არ ამოიწურება საშუალება ყოველ მხრივად შესაძლო კავშირისა და კომბინაციებისა ამ ბუნების ულეველ სახეებში, ხოლო ეს უკანასკნელი კი შეუძლებელია „უკუნითი უკუნისამდე“ და ამიტომაც, ჭეშმარიტად, უკვდავია ძალა ხელოვნებისა და ულეველია გზა ხელოვანისა.

ვაჟა ისეთი მგოსანია, რომელიც არსებითად დაუკავშირდა ბუნებას და განიცადა, რომ ყოველი სახე გამოსათქმელ გრძნობისა მარტო ამ ბუნების წიაღში ბრუნავს, საჭიროა მარტოოდენ მისი სხეულება და განცდა, საჭიროა მისი სიყვარულით დაახლოვება, რომ ბუნების საიდუმლო, მომხიბლავი ენა ისმინო. იგი ენა გადაშლის ჩვენი არსებობის საიდუმლო ფარდას, დაგვანახვებს მის ჭეშმარიტ სახეს.

„გველის მჭამელი“ მინდია არსებითად იგივ ვაჟაა. მასაც თითქოს ესმის ამ ბუნების ენა, მისი ყოველი სიტყვა. თვითოეული ცხოველი მეტყველებს პოეტის წინაშე და იგი მეტყველება იმდენად ბუნებრივი, სადა და თბილია, რომ მთელიც არსებით შეგაყვარებთ ყოველ სულდგმულს, ცხოველს, მცენარეს. იგი ასათუთებს და ანაზებს ჩვენს გრძნობას და უბღერესად კეთილშობილ აზრებს უდგას ნიადაგს ჩვენში. „ჭეშმარიტად, მშვენიერ არს და სასიყვარულო ფრიად ყოველი ქმნილება მღვთისა“, ვიტყვით ჩვენ აღტაცებულნი და ამ სიყვარულით ქირვეულნი, როცა ვაჟას მთელ შემოქმედებას გარდავიშლით თვალ წინ...

თქვენ გინდათ თქვენი შვილები გამოვიდნენ კეთილშობილნი, მოსიყვარულენი, თავგანწირულნი და სულით სპეტაკნი? მაშ, აკითხეთ მათ ვაჟას საყმაწვილო მოთხრობები, რომელიც მთელ ბუნებას შეაყვარებს ამ ნორჩ თაობას და მათ სულს სიღალით აღმოავსებს.

სამწუხაროდ, დრო ნებას არ მაძლევს ვაჟას მშვენიერ მოთხრობებზე შევჩერდე, მაგრამ თუ ვისმე იგი ერთხელ წაუკითხავს ამ მზიურ-ხალისიანობას, უსაზღვრო სიყვარულს ყოველ არსისადმი, ჰაერს, გაშლილობას, ერთგვარ რელიგიურ სათნოებას, უეჭველია, თვითონ განიცდიდა, ერთ ადგილას ჩვენ დავიხახეთ, რომ ნიცშემ გადააბა ერთ არსად ორგანიული და არაორგანიული ბუნება, თითქოს მისი „ზე-კაცის“ წარმოშობის თეორიაც განვითარება იყო ამ მთლიანობისა, რომელიც მუდამ უნდა წინ მიიწევდეს მომავლის შვილისაკენ.

აქ, აშკარაა, იგი დარვინის ევოლიუციონურ თეორიას ანვითარებს. „ზე-კაცობა“ ერთი სახეა ამ თეორიისა, რომელიც მცენარედან პირუტყვზე გადადის, პირუტყვიდან ადამიანზე და, მაშასადამე, ამ თეორიის ლოღიკური გავრცელება იქამდისაც მიგვიყვანს, რომ ადამიანი „ზე-კაცადაც“ უნდა გარდაიქმნას... იგი წინ უნდა წავიდეს უფრო... ამ გვარ მთლიანობას (რა თქმა უნდა, სხვა სახით) ორგანიულისა და არაორგანიულის შორის, მცენარეთა და ცხოველთა შორის, პირუტყვთა და ადამიანთა შორის, განიცდის და მხატვრულად გადმოგვცემს ვაჟაც. ჩვენ დავინახეთ, რომ ადამიანური გრძნობები მან აღმოიკითხა პირუტყვის გულშიც („ფიალა და კვირისა“), მაგრამ იგი კიდევ უფრო შორს მიდის... მის წინ მეტყველებს, სცოცხლობს, მოძრაობს და გრძნობს მიწა, მდინარე, მცენარე, ქვა და ყოველივე, რასაც კი თვალით ხედავს ადამიანი.

მისთვის მდინარე „ჯაგარ-აშლილი მოგრგვინავს, მთა და ბარს აქცევს ქოთითა, **უტევს, ალადრის გულმკერდსა,** ვით ვეფხი თვის მსხვერპლს ტოტითა“.

ბუნების ცვალება პაწა წყალზეც გადადის:

„გუშინ წინ კოჩორ დავარცხნილს
**ოთხის წლის გვანდა ქალასა;
ეხლა კი ქვრივს ჰგავს კაპასსა
ებუზღუნება ჭალასა“...**

მისთვის „**ხევებიც ახველდებიან, ვით ავადმყოფნი ჰლექითა**“, „**შავი ღრუბლები სანთელსა ანთებენ ქვესითა**“, მთები მაღლები, კლდეები, ლაღი არაგვი თავადა—**მოწყენილია სულყველა,** თითქოს გამხდარან ავადა, ვხედავ, **ჩუმადა ტირიან**“, მთებზე **ხძინავენ** ნისლებსა“ და სხვა მრავალი.

თითქოს არა მარტო ვაჟას ესმის ბუნების მეტყველება და მისი გულის ძგერა, არამედ თვითონ ბუნებასაც სმენია მისი ზრახვანი და თითქოს იგი ბუნება ვაჟას ემორჩილება, მის ნებას მიჰყვება.

ვერც ერთი მწერალი ვერ გაბედავდა ეხმარა ასეთი ფორმები, ასეთი ფიგურალური გამოთქმა, ალეგორიები და გულადი, თავისუფალი შედარებანი, როგორადაც ეს უხმარია ვაჟას.. და იგი კი ყოველთვის ისე თავისუფლად დანავარდობს აქ, რომ ვერც კი შევამჩნევთ ოდნავ მხატვრულ შეუფერებლობას და უხერხულობას. აბა, ყური ათხოვეთ ერთს წუთს ასეთ გულად შედარებას და მხატვრულ გამოთქმას, რომელზედაც სხვა ვინმე ფეხს წაიტეხდა და რომელიც ასე ეძარჯვება ვაჟას:

„წყალმა მეორე მხარესა, კლდისა
გაიღო ჩქაფანი,
და გაიჭიმა ხევზედა, როგორც გუთანში ქაპანი“.
(იხ. „კლდე და მდინარე“).

„ხალხთ ჩვეულება დიდია, დევსა
ჰგავს რკინის მკვნეტავსა“.
(„სიკვდილი გმირისა“).

„მთებზე ეძინა ნისლებსა, მიტკლით
შაკრულის თავითა“,
(„გველის მჭამელი“).

„მთის კალთებს შვენის ცხვარძროხა, როგორც ლამაზ ქალს ხალები“), (იქვე).

ასეთია ძლიერი მხატვრული ალღო ამ მგოსნისა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგ ადგილას იგი შთაბეჭდილებას აგრძელებს მეტად და მით ჰკლავს მხატვრულ ძლიერებას, ხოლო ზოგ ადგილას ეს განმეორება სიტყვებზედაც გადადის და მკითხველს თვალში ეჩხირება ასეთი ტავტოლოგიები:

„რას ამბობ, ცეტო?—კლდე ამბობს
სიტყვას რად ამბობ მცდარესა“?..
(„კლდე და მდინარე“).

„რას უცდით, ახალ-უხლებო,
ცხენებს არ ჰკაზმავთ რად არა“?
(ხევსური ბერდია).

„არც ვსაჭიროებ რომ ავდგე,
საზრდოსთვის ადრე დილითა;
უხვად მაქვს საზრდო ძვირფასი...
(„ბაყაყის სიმღერა“).

მტრისამც გულია ისეთი, როგორიც გული ჩემია...
(„სიმღერა“).

ხანდახან მგოსანს უადგილო ლირიული განმორებაც ეპარება და ამით შთაბეჭდილებაც ნელდება:

„დამშვიდდა მაშინ, როცა სცნო,
რომ დგნალის ხმლები ეყიდათ,
თორემ სამივეს დასცრცვიდა, ეს
დაიჯერეთ ბეჯითად“!
(„ქებათა-ქება“).

მაგრამ ასეთი მცირედი ნაკლი სავსებით იჩრდილება შეუდარებელის მხატვრულის ნიჭით, რომელსაც სიცოცხლე და ფერადობა არ ეკარგება დროს გავლენით და არც აროდეს დაეკარგება. ვაჟას პოეზია მუდამ იცოცხლებს ქართველი ერის გულში, მანამ, სანამ სცოცხლობს და ღვივის გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა, მისი ძველი დიდების მცოდნეებისა, კეთილშობილებისა და კაცთმოყვარეობისა, სათნოებისა და ამაყ, რაინდულ თავგანწირულებისა, ვაჟას პოეზიის დაწაფება და მითი დატკბობა სანეტაროა იმდენად, რამდენადაც სანეტაროა სიცოცხლე, მოქმედება, აქტივობა და მუდმივი მოძრაობა. ვინც ყველა ამისაკენ არ ისწრაფვის მას არც სიცოცხლის უფლება აქვს და ცხოვრებაც მას სასტიკად დასჯის. ხოლო ვისაც მომავალი სწამს და ვისაც იგი მომავალი აქვს, მისთვის ვაჟას პოეზია ერთგვარი გზის მაშუქებელი ობოლი ვარსკვლავია, ვარსკვლავი, რომელიც არას დროს არც სწყდება და არც ჰქრება. ვისაც სწყურიან იხილოს შეულახველი, სრულად დაცული, სული ძველის, ძლიერის, მტკიცე საქართველოს შვილისა, გაშალოს ვაჟას მშვენიერი შემოქმედება და სულიერად დაისვენოს. ჭეშმარიტად, იგი მგოსანი ობოლი მარგალიტია, რომელსაც თვისი სიმდიდრე ჩვენთვის დაუცავს და შეუნახავს მიუვალ ადგილას იქ, საცა

„ფრიალო კლდის თავს სახლი დგაცას ებჯინება ბანითა,
ირგვლივ მთებია დიდრონი,
აყრილნი სრულის ტანითა,
გადალესილნი თოვლითა,
მოუღალავნი ჯანითა...
. . . . . .
თუნდ მზე დაადგეთ გულ-მკერდზე,
ზვავი სდიოდეთ ქქითა,
ახველდებიან ხევები,
ვით ავადმყოფნი ჰლექითა,
მაინც სიტურფე იძათი
ნაკურთხი არის ზეცითა.
ბევრჯერ დაბრუნავს თავზედა
გრილი ნიავი კვნესითა;
ზაფხულში შავი ღრუბლები
სანთელს უნთებენ ქვესითა,
იქ ხომ ხვნით არავინა ხნავს,
არც ვინ რას სთესავს თესითა,
მარტო ჯიხვები დადიან
კლდეებზე რქების ლესითა“...
(გველის მჭამელი).

ჭეშმარიტად, ვაჟას ამაყ ბუნებას, მის უძლეველ სულს შეჰფერის ასეთი ბინა. იგი მას აქვს კიდეც და, თვის სასიყვარულო ბუნების დაწაფებით, მას შეეძლო სიამით დამთვრალიყო და შვება ეგრძნო.

მაგრამ ძლიერი იყო მასში სიყვარული სამშობლოისა. იგი ირგვლივ ხედავს უაზროდ მოოლავ ქია-ადამიანებს, რომელნიც უტყვად მონობენ, მაშინ როცა ბუნების ძალაში თავისუფლების სიყვარულის გრძნობა დაბუდებულია. და, შვების ნაცვლად, უსაზღვრო ტკივილი იგრძნო მისმა გულმა და ამაყ, გულდაკოდილ არწივს თვალთ ცრემლები მოადგა... იგი მაინც იმედოვნებს, რომ, სირცხვილს არ ჩვეულნი ერის შვილნი, მოსწმენდნენ ამ ცრემლს არწივის თვალებს მაშ, შეუშროთ ქირვეულს იგი მტანჯავი ცრემლი!

**ბაკი ჰაპავა.**

P. S. ამასთანავე არშემიძლიან ახალგაზდობის სახელით მადლობა არ გადავუხადო კნეინა თამარა ლევანის ასულს ერისთავისას, რომელმაც არა დაიშურარა, რომ საღამოს ჩინებულად ჩაეარნა.

ასეთივე მადლობა ეკუთვნის მონაწილეთ და იმ შემწირველთ, რომელთაც ნივთიერი დახმარება აღმოუჩინეს ახალგაზდობას ამ საღამოს გამართვაში. **დ. კ.**

**ს. საგარეჯო** (გარე კახეთი). სოფ. საგარეჯოში 2000 კომლზე მეტი მცხოვრებია და, ამისდა-მიუხედავად, ამ ერთი წლის წინად აქ არ მოიძებნებოდა არც ერთი საკულტურო დაწესებულება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ადგილობრივ ორ-კლასიან სამინისტრო სკოლას.

ამ ერთი წლის განმავლობაში, ინტელიგენტთა ერთი ჯგუფის შრომით და მეცადინეობით, აქ დაარსდა რამდენიმე დაწესებულება: სასოფლო საურთიერთო ნდობის ბანკი, ქართული დრამატიული საზოგადოება და მომხმარებელი საზოგადოება „იორი“, რომლის გამგეებმაც, დღიდან საზოგადოების დაარსებისა, გახსნეს მშვენიერი საწვრილმანო დუქანი და საქმეც ჯერ-ჯერობით კარგად მიდის, თუ ხელი არ შეუშალა ზოგიერთმა „ვაჟბატონმა“, რომელნიც ცუდი თვალით უყურებენ და არ იციან, რა საშუალებას მიმართონ, რომ როგორმე ბოლო მოუღონ ამგვარ სასარგებლო დაწესებულებას.

ს. საგარეჯოში თითქმის ყოველ ზაფხულ იმართება წარმოდგენები, მაგრამ ვაი ამ გამართვას! საკუთარ ბინის და სცენის მოუწყობლობის გამო, როგორც სცენის მოყვარენი, აგრეთვე დამსწრე საზოგადოება დიდ გასაჭირს განიცდიდნენ. ადგილობრივმა ინტელიგენციამ ამ გარემოებასაც მიაქცია ყურადღება და ამ ორი წლის წინად გადასწყვიტეს, საკუთარი სახალხო სახლის აგება; შესდგა საამშენებლო კომიტეტი და დაიწყო კიდეც მოქმედება. ამ ჟამად სახალხო სახლი უკვე აშენებულია. დრამატიულ საზოგადოების პირველ საზოგადო კრებაზე, რომელიც მოხდა კვირას 11 აგვისტოს, კრების გახსნისათანავე, საამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ-ნი ნიკო ბაზიერაშვილმა წაუკითხა კრებას თეატრის შენობის ანგარიში. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, შენობაზე დახარჯულა სულ 3860 მან. და 83 კ., აქედან საზოგადოებას ჰქონია ნაღდი ფული 1008 მან. და 11 კ., 1000 მან. საზოგადოებისათვის უსესხებია სოფ. გიორგიწმინდის მცხოვრებს ბ. სოლ. გულისაშვილს და დანარჩენი 1852 მან. და 75 კაპ. დაუხარჯავს თავისი ფული ნ. ბაზიერაშვილს. კრებამ თითქმის უკამათოდ მიიღო ანგარიში.

კრებამ დიდი მადლობა გამოუცხადა საამშენებლო კომისიას და კერძოდ ბ. ბაზიერაშვილსა და ბ-ნ სოლ. გულისაშვილს.

შემდეგ კრება გადავიდა მორიგ კითხვებზე. ახალ წევრების მიღების შემდეგ, კრება შეუდგა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების კანდიდატების დასახელებას. ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ გამგეობაში: ნ. ბაზიერაშვილი, ნ. ლეჟავა, ერ. გულისაშვილი, მ. დაფქვიაშვილი, ექ. ანტ. ფალიაშვილი, პორ. წირქვაძე და ალ. ლეჟავა. მათ კანდიდატებად: ი. ანუაშვილი, ნ. ქურხული და ს. მჭედლიშვილი. სარევიზიო კომისიაში ერთხმად აირჩიეს სოლ. გულისაშვილი, გ. გულისაშვილი და მღვდ. დიმ. ბურთიკაშვილი. **დამსწრე.**

# უცხოეთი

**ჩინეთის რევოლუცია.**

ჯერ კიდევ არ გათავებულა სამხრეთის და ჩრდილოეთის ბრძოლა, ჯერ კიდევ თავგანწირულად ომობენ რევოლუციონერები, მაგრამ უკანასკნელების დამარცხება მხოლოდ რამდენიმე დღის საქმეა. ცხადია, რომ ჩინეთის მეორე რევოლუცია დამარცხდა და იუნშიკაის მთავრობამ გაიმარჯვა.

ჩრდილოეთის და სამხრეთის ბრძოლა იყო—ბრძოლა ცენტრალიზაციისა და ფედერალიზმისა. ჩინეთი არ წარმოადგენს ერთს მთლიანს ერსა და სახელმწიფოს. იგი მრავალი სხვა და სხვა ტომის და ერის კავშირია, რომელნიც განსხვავდებიან არა მარტო ენით, არამედ ღრმა ეკონომიური ინტერესებით. ყველა ეს ტომი შეერთებული იყო საერთო დინასტიით, ბიუროკრატიით და სამწიგნობრო ენით, რომელიც განათლებულმა საზოგადოებამ იცის მარტო.

სამხრეთელები იბრძოდენ თავისუფალი წესწყობილებისათვის, ჩინეთის ყველა ერის თანასწორობისათვის, ოლქების ავტონომიისათვის. ჩრდილოელების გამარჯვება ნიშნავს ძველებური ძალდატანებითი ერთიანობის გამარჯვებას, რომელიც ცოტათი განაახლა საპარლამენტო წესწყობილებამ.

ვერ ვიტყვით, სამხრეთის დამარცხება საბოლოო არის თუ არა, კვლავ განახლდება რევოლუცია თუ არა—ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ დღეს, ექვს გარეშეა, ბატონობა იუნშიკაის ერგო. იუნშიკაი მეტად ნიჭიერი პიროვნებაა და სამხრეთელებმა ვერავინ დაუპირდაპირეს მას სამაგიეროდ. უეჭველია, მთავრობის გამარჯვებას დიდად შეუწყო ხელი იუნშიკაის პირადმა ღირსებამ—ჭკუამ, ნების სიმტკიცემ, გამოცდილებამ და გაიძვერაობამ.

იუნშიკაი იბრძოდა საკუთარ მდგომარეობისთვის და უფრო მეტი სიმხნევე და გამჭრიახობა გამოიჩინა, ვიდრე მაშინ, როცა იბრძოდა გარდაყენებული დინასტიისათვის. კიდევ უფრო დაეხმარა ჩრდილოეთის გამარჯვებას ევროპიელ ბანკირების ფული, რომელიც სესხად მიიღო იუნშიკაიმ.

მშვიდობიანობის დამკვიდრებით იუნშიკაი მალე ისარგებლებს და გაბედულად დაიწყებს მოქმედებას ტიბეტსა და მონღოლეთში. ამბობენ კიდეც, რომ ასი ათას ჯარს ამზადებს მონღოლეთში გასაგზავნად. ცხადია, ამას დიდი გავლენა ექნება რუსეთის პოლიტიკაზე.

# რუსეთი

**დეპუტ. კუზნეცოვის დაბრუნება.**

როგორც ერთი სატახტო ქალაქის გაზეთი იტყობინება, რუსეთში დაბრუნდა სახელმწიფო სათათბიროს წევრად ნამყოფი სოც.-დემ. კუზნეცოვი, რადგანაც ჰსურს პირადად მიიღოს მონაწილეობა დეპუტ. კარავაევის მკვლელობის გამო სასამართლოში მიცემულ დეპუტატების საქმის გარჩევაში. როგორც ვიცით სენატორმა შულგინმა, რომელსაც ამ საქმის გამოძიება ჰქონდა მინდობილი, უკვე დაამთავრა თითქმის საქმის გამოძიება. მემარჯვენეთა გაზეთები ამტკიცებდნენ, კუზნეცოვი სასამართლოს ემალებაო.

# თეატრი და ხელოვნება

**სახალხო სახლი.** ქართ. სახ. წარმ. მართ. წრის გამგეობა შეუდგა მუშაობას, რათა ღირსეულად შეჰხვდეს სეზონს. რეჟისორად მოიწვიეს ისევ ბ. ალ. წუწუნავა, თანაშემწედ და წრის საქმეთა მწარმოებლად ყოფილი აღმასრულებელი ამ თანამდებობისა ბ. ნ. ჰანკვატაძე, განზრახულია რამდენათაც შეიძლება განახლდეს რეპერტუარი, ამ მიზნის მისაღწევად გადაწყვეტილია მოწვეულ იქმნან ყველა ის პირნი, ვისაც რითიმე შეუძლიან ხელი შეუწყოს გამგეობის ასეთ მისწრაფებას. რადგანაც წრე სავსებით დამყარებულია სც.-მოყ. ძალებზე და ასეთები კი, რომელთაც შეუძლიანთ საკმაოდ ბევრი დრო შესწირონ სახალხო სახლს, ცოტანი არიან, გამგეობამ გადასწყვიტა, მოწოდებით მიჰმართოს ყველა იმ პირთ, ვისაც სასცენო მუშაობის უნარი აქვს და თანაუგრძნობს წრის მისწრაფებებს. მეტად სასურველია ასეთმა პირებმა არ დაიშურონ თავისი შრომა და შეძლების დაგვარად დაეხმარონ სახალხო თეატრს და ხელი შეუწყონ მის განვითარება-წინსვლას.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**20 აგვისტო.**

**უცხოეთი**

**ათინა.** კორომილასი დაინიშნა რომში ელჩად.

**შანხაი.** ნანკინი დილით აიღეს. მეამბოხენი სამხრეთ კარებიდან გაიქცნენ.

**ლონდონი.** „ტაიმსმა“ დაჰბეჭდა წერილი „გერმანია და პოლონელნი“ და პრუსიის პოლიტიკა, აღმოსავლეთ პროვინციებში, სთვლის ნემეცთა-სლავიანთა ბრძოლის უკიდურესობამდე მისვლად. გაზეთი აღნიშნავს სლავიანთათვის შეგნების ტალღის გაძლიერებას, ამ გაძლიერებისაგან მოშორებით სჩანს რუსეთი, გამრავლებულ მცხოვრებლებით და ბუნებრივ სიმდიდრით.

**ვენა.** „ალბანიშე კორესპონდენცი“ იუწყება მალისორების და ჩერნოგორელების ახალ შეტაკებას. როდესაც ჩერნოგორელებს ჰსურდათ დაეკავებინათ მათთვის კუთნეული ადგილები ხოტის, გრუდის, კლემენტის და კასტრატის თემებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მათ. საერთო აზრით, კუთნეული ადგილების შემოერთება ჩერნოგორიას შეუძლიან მხოლოდ ახალი ომით.

**ბუდაპეშტი.** „ბუდაპესტის ხარლაპს“ ატყობინებენ დურაცოდან, რომ ალბანელთა ბელადების ნაწილი უნდობლად ეკიდება ავსტრო-ჰუნგრეთს. იტალიის ემისარები ამხედრებენ ხალხს მონარქიის წინააღმდეგ. ალბანეთის მთავრობის ერთი წევრთაგანის განცხადებაზე, რომ ალბანეთის ინტერესები მოითხოვენ ავსტრო-ჰუნგრეთის მფარველობის ქვეშ ყოფნას, იზმაილ ქამილმა უპასუხა, რომ ალბანეთის და ავსტრო-ჰუნგრეთის ინტერესები განსხვავდებიან, და ავსტრო-ჰუნგრეთი იძულებული იქნება ებრძოლოს მდგომარეობას, როგორიც უნდა იყვეს იგი.

**ტოკიო.** ჯარის გადიდებისათვის ქადაგება გრძელდება.

**სტამბოლი.** „ტანინი“ დაკმაყოფილებულია ბულგარეთის თანხმობით, რომ მათ შორის მოხდეს დამოუკიდებელი მოლაპარაკება და იმედოვნებს, რომ ასეთი მოლაპარაკება სასურველად დაასრულებს საკითხის გადაწყვეტასო. „ტანინის“ სიტყვით საბერძნეთი შეშინდა შესაძლებელ ოსმალეთ-ბულგარეთის კავშირით და ამის გამო შეკვეცა მოთხოვნილებანი და იჩქარის ზავის ჩამოგდებას. ოტომანის სააგენტო იტყობინება, რომ გიუმიულჯინისა და ბულგართა შორის მომხდარ ბრძოლის შემდეგ ბულგარელები გაიქცნენ. გიუმიულჯინის მცხოვრებნი პატრონობენ ქალაქს.

**სოფია.** ბულგარელ მასწავლებელთ, რომელნიც განდევნილნი იყვნენ მონასტრის და სკოლსკის ოლქებიდან მაკედონიაში მიუმართავთ დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელთათვის, მოითხოვენ, რომ მაკედონელ-ბულგარელების წინააღმდეგ ბრძოლა მოსპონ.

**რომი.** სანჯულიანომ მიიღო ადრიანოპოლის დელეგაცია და განუცხადებია, რომ ადრიანოპოლი ოსმალებს დარჩებათო.

**რ უ ს ე თ ი.**

**პეტერბურგი.** მოვიდა მაკედონელთა დელეგაცია.

**კოვნა.** ბრბოს ბელადი პაციუკი მოჰკლეს ღამით ძველ-პანევეჟში.

**კალუგა.** საგუბერნიო საარჩევნო კრებაზე 72 მემამულედგან 68 გამოცხადდა. დიდი ხმის უმეტესობით დიმიტრიუკოვი აირჩიეს. მოქალაქეებისაგან აირჩიეს შედარებითი ხმის უმეტესობით პავლინოვი-პროგრესისტი. ამომრჩეველთა რიცხვის შედარებით უმეტესი ხმით აირჩიეს მეოთხე სათათბიროს წევრად ნამყოფი გრაფი ორლოვ-დავიდოვი და ოქტომბრისტი კაზნინი.

**არხანგელსკი.** წყალში მაშველ საზოგადოების გამგეობამ გადასდო 1000 მ. სედოვის და რუსანოვის ექსპედიციის მოსაძებნად.

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ქ. შ. წ. კ. საზოგადოების თელავის განყოფილების სასარგებლოდ 20 ივლისს გამართულ „ილიას საღამოს“ ანგარიშს.

შემოსავალი: ბილეთები 452 მან. 50 კ. ბუფეტი 140 მ. 33 კ. ვახშამი—131 მ. 68 კ. შემოწირულება: 5 მ. (ა. ი. განზერგი 2 მ. 60 კ., სოფრონოვი 1 მ. 20 კ. და დ. აბელიშვილი 1 მ. 20 კ.) სულ 729 მან. 51 კაპ.

**ხარჯი:** ადგილის ქირა, სცენის დადგმა, ბალის მოწყობა, ელექტრონის განათება, ვახშამი და მოსამსახურეები სულ 314 მან. 56 კაპ. (დაწვრილებითი ანგარიში წ. კ. წიგნის მაღაზიაშია გამოკიდული)

წმინდა დარჩა: 414 მან. 95 კაპ.

წ. კ. საზოგადოების თელავის განყ. გამგეობის სახელით და ჩემის მხრით უგულითადეს მადლობას ვუძღვნი როგორც ზემო დასახელებულ შემომწირველთ აგრეთვე:

კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილს ხოროს მომზადებისათვის და ყველა მონაწილეობის მიმღებ ქალ-ვაჟს.

ბ. და დ. სულხანიშვილებს „დედა და შვილის“ დადგმისათვის.

ქ-ნ ა. ვოლოხოვისას, მსახ. კორინშელს, ვ. შაშიაშვილს ქნ. ლ. ყარალაშვილისას და სხვებს სალიტერატურო-სამუსიკო განყოფილებაში მონაწილეობის მიღებისათვის.

ა. მესხის, ქ-ნ ს. ზარაფიშვილისას, ი. ვახვახიშვილს, ა. ყაზახაშვილს და ა. მთვარელიშვილს ამ საღამოს მომზადებისათვის და ყველა იმ პირთ, რომელთაც პირადათ დასწრებით და თავისი წვლილის გამოღებით შემწეობა აღმოუჩინეს წ. კ. საზ. თელავის განყოფილებას.

**საღამოს დამსწრე გამგეობის წევრი ქეთო რუსიშვილისა, ხაზინადარი გ. მაჭავარიანი.**

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**

# მატარებელთა მიმოსვლა

(ზ ა ფ ხ უ ლ ო ბ ი თ)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3 **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**მცხეთაში:** № 65, **საგარაკო** დილ. 8 ს. 16 წ., № 67, **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისკენ:** **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

**მშრომელ ხალხის საყურადღებოდ**

**ისყიდება** მეცხრე საპოლიციო უბანში პროტესტანტების სასაფლაოს გადაღმა (პოდგორნი ქუჩაზე, № 11, სამოვოლნი ქუჩიდან მეხუთე სახლი), მიწა და საგანგებოდ აშენებული ქვითკირის სახლი, ხუთი ოთახი ფართო ეზოთი. ახლო წყალია. მიწა შეიცავს 70 კვად. საჟენს, სენთიანი ყველაფრითა. ძალიან ხელმისაწვდომ ფასში. დაწვრილებითი ცნობები შეიძლება გაიგოთ ზუბალაშვილის სახალხო სახლის პირდაპირ; კიროჩნი ქუჩა, სახლი № 9. იკითხეთ პარიკ-მახერი **მენთეშაშვილი**. ბანკის ვალი აქვს 1000 მ.

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** 1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

# ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შ ე შ ხ ა პ უ ნ ე ბ ა კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**ქ. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. სალამოობით 6—7 საათამდე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

# სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709)

9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შენახვაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდია, და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

# უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4. ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 745).

8—9 **ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (ბუნიბის ქ., № 23).

10, 11—12 **ი. გ. ტერ-ნიკოგოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935).

# ქალაქის სავადმყოფოები

**მთავარი**—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ნარიყალისა**—ვორონცოვის ქ. 56.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში). თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

გამოსულია და იყიდება

**ი. გედევანიშვილის პიესა**

**„გ ა მ ც ე მ ი“**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**თქვენი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით**

**სამკურნალო**

**ბანო**

მდინარე მტკვრის ნაპირზე (?) მთის ძირზე

**ძმ. უორუილაძეების**

**აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას**

ხშირისმი ძვირფასი მთის ჭაერზე

1385

**საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის**

**„პ ა ტ ო კ ს ა ნ“.**

**„პატოკსან“** შეიცავს 42% შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 647.

**„პატოკსან“** საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება ექ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე.

**„პატოკსან“** ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგად ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას.

**„პატოკსან“** ხელ უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუმჯობესოს და ღლიური ნაწველიც გაადიდოს.

**„პატოკსან“** ფხვნილია და ამიტომ შეიძლება ადვილად გადაურიოთ ქერში და სხვა საჭმელში.

**„პატოკსან“** თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.

ვინც მოისურვებს გაგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ გაგზავნის დროს. ყოველგვარ ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოდ იგზავნება ამიერ-კავკასიისათვის.

ერთად-ერთი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიისთვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ.“** ტფილისში, ვერის დაღმართი № 12, ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს—ტფილისი“. 1384.

საბუღალტრო კურსები

**გ. და მ. ტერ-დავიდიანცისა**

ნიკოლაევის ქ., 36, ვორონცოვის ძეგლის ახლო. მიღება 4—7 საათ. საღამოთი. 1416

# ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**შემდეგი წიგნები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| აკაკის საიუბილეო კრებული | 25 კ. | მთიულეთი, ა. ფრონელი, | 40 |
| ასული ისრაელისა. ა. ფურც. | 30 „ | დილარიანი, ლარიძისა, | 2 მ. |
| ბრძოლა ანუ გ. ცააკაძე და მისი დრო | 1 მ. | მაცი ხვიტია, ა. ფურც. | 50 |
| დუტუ მეგრელი ტ. 1, | 70 „ | მოლიპულ გზაზე, | 1 მ. 50 |
| „ „ ტ. 2-ე. | 70 „ | მთიული სოსე | 40 |
| ეკატერინე ბატონიშვილი, ხუსკივაძ. | 5 „ | მეფე ერეკლე და ინდილო ქალი, | 5 |
| ვისი ბრალია? დ. ერისთ. | 20 „ | Методическое руководство къ препод. русск. языка. | 40 |
| ვარინკას ამბავი, | 15 „ | რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები ი. გოგებ. | 1 მ. |
| ბურჯი ეროვნებისა, ი. გოგებაშ. | 20 „ | რანი ვიყავით გუშინ, მისივე | 20 |
| თავადი იერონიმე, მგალ. | 10 „ | საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, მისივე | 10 |
| თხზულებანი ხუსკივაძისა, | 30 „ | ქიტესა. ა. ფურც. | 15 |
| თავდადებულნი ქართველნი | 7 „ | ქართ. მეფე გლეხის კოხში, ი. გოგ. | 5 |
| ია ეკალაძე. მოთხრობები | 1 მ. | ჩემი თავგადასავალი, აკაკი, | 1 მ. |
| ივანნამ რა ჰქმნა? ი. გოგებ. | 5 „ | ჩვენებური საქმის ბოლო, ა. ფურც. | 20 |
| კახეთის ამბოხება, ა. ფრონელი | 60 „ | ცხოვრება და სიყვარული, | 40 |
| ლევან ბატონიშვილი, ხუსკ. | 10 „ | წვრილი მოთხრობები სვ. ყიფ. | 50 |
| მეჯღანუაშვილი, არდაზ. | 50 „ | | |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 121

# თ. ა. მთავრიშვილის წიგნის მაღაზია

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამა წლის 1913—1914 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს დიდ-ძალი

**სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,**

რომელნიც კი იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშუალო სასწავლებელში. **ფასები საკმაოდ დაკლებულია.** მსურველთ შეუძლიანთ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: რვეულები, კალმები, კალმისტარები, კარანდაშები, სამხატვრო დაფები და სხვა რასაც ძალიან დაკლებულ ფასად დაუყოვნებლივ მივაწვდით ბ-ნ გლეხების საკანცელარიო მაღაზიიდან: ადრესი: ქუთაისი. ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიის სახლი, ბულვართან, თ. მთავრიშვილი. 1418

# მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

**ძმ. ძნელაძეები.**

**ახალ-ახალი**

**მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სკუმბრია**

**ახალი მარილ-დაუცმელიანი**

**ხიზილალა (ქვირითი)**

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, ბანი, შაშა, ზუთხილმები,** სხვა ყოველ-ნაირი **თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა** და **კონსერვები.**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**

**ტელეფონი № 7:2.**

მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“,